# 27 სექტემბერი – ქართველთა და აფხაზთა დამარცხების დღე

# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 27 სექტემბერი. 2017 წ. №197 (8334), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## სირცხვილნაჭამ ოპოზიციას საპარლამენტო უმრავლესობამ პირწმინდად მოუგო!



საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით კენჭი უყარა საქართველოს კონსტიტუციის პროექტს. ახალ კონსტიტუციას მხარი პარლამენტის 117 დეპუტატმა დაუჭირა. კონსტიტუციის მიღებისას სხდომას არ ესწრებოდა საპარლამენტო უმცირესობა და ნაციონალური მოძრაობა, დარბაზში იმყოფებოდა პატრიოტთა ალიანსი, რომელმაც კონსტიტუციას მხარი არ დაუჭირა.

გუშინვე კენჭი უყარეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასაც, რომელსაც მესამე მოსმენით მხარი 114-მა დეპუტატმა დაუჭირა.



ანონსი

## პეტრე დიდი – ბაგრატიონთა შთამომავალი?

5



საამაყო მემკვიდრეობა

დავით ზარდიაშვილი:

## ივანიშვილის ფაქტორი კიდევ მუშაობს!

6



პარტიები განვავითაროთ თორემ, „გუგავა მოვა“!

ირაკლი ტაბლიაშვილი:

## რუსეთი არის მტერი!

8

ერთიანი ეროვნული მიდგომის აუცილებლობა

## ცენტრალური ავტომაგისტრალიდან 300 მეტრში საოკუპაციო ძალებს ახალი გზა გაჰყავთ

8

რამაზ საყვარელიძე

## უფსკრული ოპოზიციასა და ხალხს შორის

4



## ტექდათვალიერების გადავადება სულ უფრო რეალური ხდება

7

ეთერ თათარაიძის ღუღუნი ილიას ეზოში

12

## თავზე გულს შემოგავლებ, ედემს შესადრელაო...





## ჩარჩო-კანონმდებლობა საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის გაზრდის მიზნით

საქართველოს მთავრობამ, ქვეყნის საინვესტიციო გარემოს უფრო მიმზიდველობის კიდევ უფრო გაზრდისა და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის ჩარჩო-კანონმდებლობა შეიმუშავა.

კანონპროექტი, საერთაშორისო სტანდარტებით დამაკმაყოფილებელ გარემოს შექმნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში მაღალი ხარისხის ინვესტორი კომპანიების შემოსაყვანად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამონაწილეობითა და ეკონომიკის სამინისტროს ეგიდით შემუშავდა. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, ძალიან მნიშვნელოვანია,

რაც შეიძლება მეტი კერძო კომპანია ჩაერთოს ქვეყნის ინფრასტრუქტურული მოდერნიზაციის პროცესში, რასაც მთავრობის ოთხპუნქტიანი პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება ქვეყნის სივრცითი განვითარების გეგმა მოიცავს. **„იმისათვის, რომ ჩვენ მაღალი რეპუტაციის და ძალიან მაღალი ხარისხის მოთამაშეების მოზიდვა შევძლოთ ქვეყანაში, რათა ისინი არა მხოლოდ კონტრაქტორებად, არამედ ინვესტორებად შემოვიდნენ ინფრასტრუქტურულ პროექტებში, გვჭირდება საერთაშორისო სტანდარტების კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის ჩარჩო-კანონმდებლობა. ეს, ერთი მხრივ, გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხარისხს; მეორე მხრივ, ქვეყნის საინვესტიციო გარემოს უფრო მიმზიდველს გახდის კერძო კომპანიებისთვის და, მესამე მხრივ, ეს არის მნიშვნელოვანი განტვირთვა სახელმწიფო სუვერენული ბალანსის, ანუ საბიუჯეტო ხარჯების კუთხით. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება, რომ უფრო დიდი მასშტაბის პროექტების განხორციელებისთვის განვტვირთოთ სახელმწიფო ბიუჯეტი და მაქსიმალურად ჩავრთოთ კერძო კომპანიები ამ ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, კანონმდებლობა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის ამყარებს კარგ ბალანსს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ინტერესებს შორის, ისე, რომ საჯარო ინტერესი არ დაზიანდეს და ამავე დროს კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის საინტერესო იყოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობა. ჩარჩო-კანონმდებლობა განსახილველად პარლამენტს გადაეგზავნება.

## კონსენსუსის მიღწევის ბოლო გზაზე ჩვენ დავთანხმდით პრეზიდენტის 6 წლით არჩევაზე

**პრემიერის განცხადებით, ოპოზიციასთან კონსენსუსი შედგა და კონსტიტუციის ახალი პროექტით, პრეზიდენტი ექვსი წლის ვადით იქნება არჩეული. ხოლო 2024 წლიდან პრეზიდენტს პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატები დანიშნავენ.**

მისი თქმით, პროპორციულ სისტემაზე გადასვლა არის უდიდესი ნაბიჯი ქვეყანაში დემოკრატიული განვითარებისთვის, ასეთი რამ მიუღწეველი იყო წლების განმავლობაში და ყველა ოპოზიციონერისთვის, ვინც კი ოპოზიციაში ყოფილა, იყო „სანატრელი“.

**„კონსენსუსის მიღწევის ბოლო გზაზე ჩვენ დავთანხმდით ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე, ეს იყო პრეზიდენტის არა 5 წლით, არამედ ექვსი წლით, პირდაპირი წესით არჩევა, რათა 2024 წელს, როდესაც პროპორციული წესზე გადასვლა მოხდება, ერთდროულად მოხდეს პრეზიდენტის არაპირდაპირ არჩევაზე გადასვლა. თავისთავად, პროპორციულ სისტემაზე გადასვლა არის უდიდესი ნაბიჯი დემოკრატიის განვითარებისთვის ქვეყანაში და ასეთი რამ მიუღწეველი იყო წლების განმავლობაში და ყველა ოპოზიციონერისთვის ვინც კი ოპოზიციაში ყოფილა, იყო მართლაცდა სანატრელი“,** — განაცხადა პრემიერმა.

## „ვენეციის კომისიამ ეს დოკუმენტი შეაფასა, როგორც საქართველოს დემოკრატიული განვითარების წინ გადადგმული ნაბიჯი“

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე კონსტიტუციის ცვლილებების პროექტზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის არის სახალხო განხილვების შედეგად მიღებული დოკუმენტი. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, პროექტი ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა: **„დოკუმენტი, რომელიც ჩვენ მივიღეთ, არის ვენეციის კომისიის მიერ შეფასებული, როგორც დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოს და ძირითადი უფლებების დაცვის პრინციპებს. ვენეციის კომისიამ ეს დოკუმენტი შეაფასა, როგორც საქართველოს დემოკრატიული განვითარების წინ გადადგმული ნაბიჯი.**

**უპრეცედენტო, საერთო-სახალხო განხილვებისა და ჩართულობის შედეგად შემუშავდა ეს დოკუმენტი. სამწუხაროდ, ოპოზიცია ცდილობს, წარმოაჩინოს, რომ ეს არის ერთი პარტიის დოკუმენტი, რაც სავსებით არ არის სწორი. ჩვენ მომსწრე ვართ იმ პარტიების მმართველობის პერიოდში, რომლებიც დღეს ჩვენ გვაკრიტიკებენ ე.წ. კონსენსუსის ნაკლებობის თუ არქონის გამო, კონსტიტუციების ისე მიღებას, როცა მსგავსიც კი არაფერი ყოფილა საქართველოში ასეთი განხილვების სახით“,** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

# ტყუილია, თითქოს ახალი კონსტიტუცია მიიღება მხოლოდ ერთი პარტიის მხარდაჭერით

## უმრავლესობაში შემავალი ოთხი პოლიტიკური სუბიექტის განცხადება

საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ოთხი პოლიტიკური სუბიექტი, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. განცხადებას ხელს აწერენ სოციალ-დემოკრატები — საქართველოს განვითარებისთვის, საქართველოს კონსერვატიული პარტია, საქართველოს მწვანეთა პარტია და პოლიტიკური გაერთიანება — მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს.

**„საქართველოს პარლამენტის უმრავლესობაში, გარდა „ქართული ოცნებისა“, ფრაქციების სახით წარმოდგენილია ოთხი პოლიტიკური სუბიექტი, რომლებსაც ცნობადობაც, ისტორიაც, რეიტინგიც, რეპუტაციაც და პარტიის წევრთა რაოდენობაც კი გაცილებით დიდი აქვთ, ვიდრე პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციური პროცესის დასაზიანებლად შემოკრებილი პარტიების უდიდეს უმრავლესობას. შესაბამისად, უპასუხისმგებლო და ტყუილია ნებისმიერი განცხადება იმის შესახებ, თითქოს ახალი კონსტიტუცია მიიღება მხოლოდ ერთი პარტიის მხარდაჭერით.**

**ამიტომ, მოვუწოდებთ ჩვენს ოპონენტებს, თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, რომლებშიც აშკარად და მიზანმიმართულად შეურაცხყოფენ მინიმუმ ოთხ საპარლამენტო პარტიას.აქვე, საპარლამენტო უმრავლესობაში ფრაქციების სახით წარმოდგენილი პარტიები, აბსოლუტურად თანაბრად ვიზიარებთ ახალ კონსტიტუციასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას და მოხარულები ვართ, რომ თითქმის ერთწლიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად, შევქმენით ისეთი კონსტიტუციური პროექტი, რომელიც უპრეცედენტო საყოველთაო-სახალხო განხილვებისას მხარდაჭერილია საზოგადოების მიერ, დადებითად აფასებს ვენეციის კომისია და უდავოა, რომ ამ კონსტიტუციური რეფორმით ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარება იქნება უზრუნველყოფილი“,** — ნათქვამია განცხადებაში.



## ეჰ, ამერიკა, ამერიკა!..

# თეთრ სახლში სტუმრობა დიდი პატივი იყო... უწინ!

**ამერიკელი სპორტსმენები, მათ შორის, კალათბურთის ვარსკვლავები ლებრონ ჯეიმსი და სტივენ კარი აღშფოთებული არიან პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ბოლოდროინდელი გამონათქვამებით. 22 სექტემბერს ტრამპმა ალაბამის შტატში გამართულ მიტინგზე გამოაცხადა: ამერიკული ფეხბურთის ეროვნული ლიგის მოთამაშეები, რომლებიც სახელმწიფო ჰიმნის შესრულებისას შეუსაბამოდ იქცევიან, გუნდებიდან უნდა გაყარონო. მან ჰიმნის ბოიკოტს უწოდა ქვეყნის მემკვიდრეობის „სრული უპატივცემულობა“ და კლუბების მფლობელებს მოუწოდა, თუ რომელიმე სპორტსმენი პატივს არ სცემს ეროვნულ დროშას, გააძევეთ ეგ ნაბიჭვარი, უთხარით, რომ გაგდებულიაო!..**

ტრამპის გამოხდომა უკავშირდება რამდენიმე შემთხვევას, როცა სპორტსმენებმა სტადიონზე ჰიმნის შესრულებისას ცალი მუხლი მოიდრიკეს, ან საერთოდ არ გავიდნენ მინდორზე, რათა ყურადღება გაემახვილებინათ აშშ-ში რასობრივი ნიშნით ძალადობის პრობლემაზე. ამით მათ გაიმეორეს ჟესტი, რომელიც პირველად 2016 წლის აგვისტოში გამოიყენა ამერიკული ფეხბურთის ეროვნული ლიგის ვარსკვლავმა კოლინ კეპერნიკმა რასიზმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. დაიწყო მწვავე საჯარო დისკუსია, რომლის ერთ-ერთი კულმინაციაც გახდა ტრამპის მოთხოვნა: კეპერნიკს ის ურჩევნია, „სხვა ქვეყანა მოძებნოს“.




ახლა კი ტრამპმა თავს მისცა ზემოხსენებული, კიდევ უფრო მკვახე განცხადების უფლება და ის უპასუხოდ არ დარჩენილა. ამერიკული ფეხბურთის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელმა როჯერ გუდელმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც გაკრიტიკებულია სპორტსმენთა მიმართ პრეზიდენტის „უპატივცემულობა“. „სან ფრანცისკო 49“-ის მფლობელმა ჯედ იორკმა „ვულგარული“ უწოდა ტრამპის გამონათქვამებს, რომლებიც ასევე დაგმეს „გრინ ბეი პეკერსის“, „მაიამი დოლფინსის“, „ნიუ-იორკ ჯაიანტსისა“ და „ბუფალო ბილსის“ მესვეურებმა.

ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავთა პროტესტს ამასობაში მხარი აუბეს სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებმაც, მათ შორის, კალათბურთელებმა. ქვეყნის ჩემპიონის, „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ წევრმა სტივენ კარიმ გამოაცხადა, რომ არ აპირებს, ესტუმროს თეთრ სახლს, სადაც მიწვეულია, როგორც კალათბურთის ეროვნული ასოციაციის, NBA-ს ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდის მოთამაშე. კარის ამ განცხადებას მალევე მოჰყვა ტრამპის შეტყობინება „ტვიტერში“, რომ სტივენ კარის მოსაწვევი გაუქმებულ იქნა!

სამაგიეროდ, სტივენ კარის მხარში ამოუდგა NBA-ს ერთ-ერთი ყველაზე „კაშკაშა“ ვარსკვლავი ლებრონ ჯეიმსი. „კლივლენდ კავალირსის“ ლიდერმა „ტვიტერითვე“ მიმართა პრეზიდენტ ტრამპს: თეთრ სახლში სტუმრობა დიდი პატივი იყო, ვიდრე იქ თქვენ დასახლებოდითო.

**აი, ამერიკული დემოკრატია: სპორტსმენებიც კი ამერიკის ეროვნული ტრადიციების, სიმბოლიკის, რასიზმის, ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოდიან...**

# ანუნა ბუკიას მითური და რეალური სოხუმი



**სინამდვილეში როგორია აფხაზეთი, ადგილი, რომლის შესახებ მეოთხედ საუკუნეზე მეტია მხოლოდ ამბებს ვისმენთ, ფოტოებს ვათვალიერებთ, თუ გაგვიმართლა და...** იქ შეღწევასაც მხოლოდ ერთეულები ახერხებენ, ყოვლად კონსპირაციულ ვითარებაში მოპოვებული „სპეციალური საბუთებით“.

**„აფხაზეთი სრულიად მწვანეა, მწვანეს ყველა ფერით“,** — გვეუბნება ანუნა ბუკია, რეჟისორი, ვინც სოხუმს კიდევ ერთხელ ესტუმრა და ვინც გადაიღო ფილმი „მე გადავცურე ენგური.“ მისი ახალი შთაბეჭდილებები საკმაოდ მძაფრია. ანუნა ბუკია 4 წლის ასაკში იქცა დევნილად. სოხუმში, მის სახლში ახლა სხვა ოჯახი ცხოვრობს. ვისაც ნანახი აქვს მისი ფილმი, ეხსომება კადრი, როდესაც იგი ავტომანქანაში იმალება და ფარულად ცდილობს, საკუთარი სახლი სოხუმის ერთ-ერთ ქუჩაზე რაც შეიძლება უკეთ შეათვალიეროს.

ახლანდელი მოგზაურობის დროს მან უფრო მეტი შეძლო: იცხოვრა სოხუმში, საკუთარ სახლთან ახლოს, იმოგზაურა და გადაიღო ახალი ათონი, გუმისთა, რიწა და, რა თქმა უნდა, სოხუმი — ზღვით, ცით, მიწით და სიმწვანით. ამის შესაძლებლობა „ვიზამ“ მისცა, რომლის მიღება დიდ სირთულეებთან აღმოჩნდა დაკავშირებული, სამაგიეროდ გადაადგილებისას დამალვა აღარ დასჭირდა. ანუნა ბუკია „ამერიკის ხმასთან“ საკუთარ შთაბეჭდილებებზე საუბრობს იმის შესახებ, რატომ მიიჩნევს „ზღვის ხალხს“ უფრო თავისუფალი სულის მატარებლად, რა პრობლემა შეიძლება წარმოშვას ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებულმა განსხვავებამ, როგორ შეიძლება აისახოს ეს არარსებულ, მაგრამ იდეაში მოაზრებულ შერიგების საკითხზე და სხვა.

„სოხუმში ქუჩაში ოდნავ გვიან სიარული, ქალის მარტო გადაადგილება პრობლემაა. გენდერული თემები საერთოდ სასაცილოდაც არ ჰყოფნით, აბსოლუტური უთანასწორობაა ამ თვალსაზრისით. თითქოს მატერიალური ღირებულებები, მატერიალური კეთილდღეობაა წინა პლანზე, მაგრამ უფრო სწორი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ რა არის მათი პრიორიტეტები, რიგითი მოქალაქეების, და, ზოგადად, ხალხის, არ ჩანს და არ გამოჩნდება. ნაწილი დათრგუნვილია და ნაწილი ვერ გამოაჩენს, რადგან მათმა გამოჩენამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის იდეას, რაც აფხაზებისთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ იმის თქმა, რომ „სადმე წავიდეთ“, ან „საზღვარი გავხსნათ“, ნიშნავს ამ იდეის დაკარგვას.“

აფხაზეთი და სოხუმი ანუნა ბუკიასთვის პასუხებისა და ახნა-განმარტებების მთელი ჯაჭვია იმის შესახებ, რაც აქამდე მისთვის მხოლოდ კითხვის სახით არსებობდა. **„იქ ყოფნისას ვხვდები, რატომ ვარ ისეთი, როგორიც ვარ, რაც განაპირობებს ჩემს ხასიათსა და ქმედებებს,“** — გვეუბნება იგი და მასსა და სოხუმს შორის არსებული უხილავი ძაფების შესახებ აგრძელებს საუბარს.

კითხვის ნიშნები ახლა უკვე სხვა საკითხების ირგვლივ ჩნდება. მაგალითად: ადგილზე რომ ყოფილიყო, შეამჩნევდა თუ არა ისეთ დეტალებს, რაც დევნილად ქცეული ადამიანისთვის სულისშემძვრელად ძვირფასი და დასაფასებელი ხდება. **„მგონია, რომ ზღვის სანაპიროებზე მცხოვრები ადამიანების თავისუფლება არის გაცილებით მაღალი, ვიდრე სხვების, მათი ბუნება უფრო შმაგი და ჩარჩოების გარეშე, უსაზღვროა, მაგრამ აფხაზეთში მე ეს ვერ ვიგრძენი და საკუთარ თავს დავუსვი კითხვა: რამდენად არიან აქ მცხოვრებნი ზღვის ხალხი? რამდენად იციან, სად რაც აქვს, რაც ჩვენც გვემართება და საერთოდ არაა საჭირო რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნო ეს თვისება, მაგრამ ჩემთვის ეს ძალიან არასასიამოვნო იყო იმ მომენტში.“**

იმ შთაბეჭდილების გარდა, რომ აფხაზეთში ზღვა, რომელიც, ზოგადად, თავისუფლების სიმბოლოა, თითქოს ჩაკეტეს, დააბეს და ჭიქაში მოაქციეს, ანუნა აფხაზურ და ქართულ საზოგადოებებს შორის მენტალური განსხვავებულობის შესახებაც ამახვილებს ყურადღებას და მიიჩნევს, რომ უფსკრული, რაც ამ თვალსაზრისით არსებობს, უფრო და უფრო ღრმავდება, რის გარანტიასაც უმოძრაობა, განვითარებისა და განათლების შესაძლებლობებს მოკლებული, ერთ ადგილას გაყინული საზოგადოება ქმნის.

**„სოხუმში შევხვდი ძალიან ბევრ უცნობ ადამიანს, ვიცხოვრე უცხო ადამიანის სასტუმროს ტიპის სახლში, რამაც საშუალება მომცა, მეკონტაქტა ადამიანებთან, რომლებიც არ არიან დაკავშირებუ-**



**ცხოვრობენ? რამდენად შეუძლიათ ატარონ და განავითარონ ზღვის ესთეტიკა? ჩემთვის ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც იყო სოხუმში ყოფნისას. როდესაც ბოტანიკურ ბაღში შევედი, სადაც ბავშვობის ფოტოები მაქვს გადაღებული, საოცრება ვიხილე, სიხასხასე და მწვანე ფერი. იქ ყველაფერი საოცარი იყო ჩემთვის და მოვინუსხე. ფოტოებს სწრაფ-სწრაფად ვიღებდი, მინდოდა, ყველაფერი კამერაში ჩამეტია. ადამიანებმა, ადგილობრივებმა, ვინც მე მახლდნენ, მკითხეს, რატომ იღებ, რაა აქ გადასაღები, რაა ლამაზიო? ჩემთვის ეს აბსოლუტური შოკი იყო. შეიძლება ეს ის მომენტია, როდესაც ადამიანი არ აფასებს,**

**ლი არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ხელოვნებასთან, ადგილობრივ მმართველობასთან... მათთან შეხვედრის შემდეგ გამიმყარდა მოსაზრება, რომ დახურულ სივრცეში ცხოვრებისა და თავდაცვის მომენტი: „არ დავკარგო ჩემი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა“ გადაიზარდა იმაში, რომ შექმნილმა ვაკუუმმა უკან დაბრუნება დაიწყო ცუდი შედეგებით. ეს გამოიხატება ნელი განვითარებით, განათლების, მენტალური, ღირებულებითი პრობლემებით. ეს ჩემთვის ყველა ურთიერთობაში საგრძნობი იყო. ძალიან სევდისმომგვრელია ეს ფაქტი, მით უფრო, თუ პერსპექტივაში შევხედავთ მოცემულობას. თუ დიალოგი ორმა მხარემ უნდა აწარმოოს, ეს ორივე მხარე, სულ მცირე, ახლოს მაინც უნდა იდგეს ერთმანეთთან სოციალური გამოცდილებით, რაც არ არსებობს. განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას ვგულისხმობ.“**

ანუნა ბუკიას ფილმი **„მე გადავცურე ენგური“** ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალზე იყო წარმოდგენილი და მას ორი დღის განმავლობაში აჩვენებდნენ. 27 სექტემბერს კი მისი ჩვენება კინოთეატრ რუსთაველშია დაგეგმილი. ის დოკუმენტურ კადრებზეა აგებული და იმ მწარე რეალობას ასახავს, რასაც კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების ყოველდღიურობა გულისხმობს.



**ნინო დალაქიშვილი,**
„ამერიკის ხმა“

# მე ვნახე გოლგოთა...

**1994 წლის მაისში, კოდორის ხეობაში მივლინებით ყოფნისას, სულით ხორცამდე შემძრა წინა წლის ავბედით 27 სექტემბერს ჭუბერთან ჩაყინული დედაშვილის ნახვამ.**

მე ვნახე სოხუმი და გულგამოხრული
საღამო სისხლისგან დაცლილი,
ჟიული შარტავას ჩამქრალი შანდალი,
სიცივე – ბედისგან დაცინვის.

მე ვნახე ზღვისპირი, მე ვნახე ბოღაზი,
სიკვდილის ცელით რომ მოხაზეს;
მეწვის და მაწუხებს ტკივილის
მარწუხი,
კრემლისთვის მიშვერილ ლოყაზე!

მე ვნახე გოლგოთა და ჯვარი მომქონდა
დალურსმულ მკერდით და ხელებით,
თავდახსნილს ლათასთან,
დამიხვდა ანაზდად
ჭუბერი ყინვით და ხველებით.

ტანჯვამ და ვაებამ ჩამოჰკრეს ზარები
კოშმარულ ზმანების თამასით,
მოჭრილი თავებით მობურთალ კაენთა
მაჟრჟოლებს როკვა და თამაში.

ვისაც მე ვათბობდი, ის მუხანათობდა
და ცოდვის კუპრშია ჩასული,
თვალს მიწვავს წყვდიადი და
„ბაგრამიანის“
ტყვიები – მზაკვრულად ნასროლი.

მე ვნახე ბავშვები, პატარა ბავშვები,
ფეხმძიმე ქალები მუცლებით,
ჩამესმა სისხლის და ცრემლების
გამშრობი
უმწეო კივილი უცებით...

დავდივარ ქუჩებში დაკვნეტილ ტუჩებით
და ვეძებ, სად არის მომკელი?!
შხამიან უნასის და რუსულ „ურასი“
არ მჯერა, თუ გინდა მომკალით!

ლულების მოშვერით იმათი დროშები
სანუკვარ იმედთა მკვლელია,
გაგრაში, სოხუმში, გალსა და
გულრიფშში
ამიტომ გაცივდა კერია!

გამართეს ზეიმი, ატკბობდათ სეირი,
ძმის მოკვლით ვინ რომელს აჯობებს,
არნახულ წამების დაგვიდგა წამები,
თავების თამაში „მსაჯობდნენ“!

**ალექსანდრე შენგელია**



# უფსკრული ოპოზიციასა და ხალხს შორის

**საპარლამენტო უმრავლესობამ საკონსტიტუციო ცვლილებები, ოპოზიციასთან კონსენსუსის არარსებობის მიუხედავად, დააკანონა, საინტერესოა შედეგი, რომელიც ამ ცვლილებებით უნდა მივიღოთ — შეიქმნება თუ არა ის პლურალისტური გარემო, რომელიც პარტიებს შორის კონკურენციას გაზრდის და შედეგად მივიღებთ უფრო ეფექტურ მმართველობას... ამ პრობლემაზე ექსპერტი რამაზ საყვარელიძე გვესაუბრება.**

**— საკონსტიტუციო თემების შეფასებისას პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2020 წლისთვის მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა შეუძლებელი გახდა ოპოზიციის არასათანადო მზადყოფნის გამო, მხარი დაეჭირათ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის იმ პირობებშიც კი, თუ პროპორციულ სისტემაზე 2020 წელს გადასვლას შესთავაზებდა უმრავლესობა. ოპოზიციას ამ კონკრეტულ შემთხვევაში მომგებიანი პოზიცია აქვს არჩეული და ხელისუფლებას არაფერზე თანხმდება, მაგრამ მთლიანობაში შეგვიძლია შევაფასოთ, რისთვის არის მზად დღევანდელი ოპოზიცია?**

— ეს აზრი გასაგებია იმ მხრივ რომ, ხშირად რჩება შთაბეჭდილება, ოპოზიცია საერთოდ არაფერზე დათანხმებას არ აპირებს. ამ საკონსტიტუციო პროცესშიც ოპოზიციამ ამდენ ხანს ატრიალა ეს თემა და არსად არა აქვს ნათქვამი, თუ რას დათმობს. ხელისუფლებამ თქვა, რომ დათმობს ამას, ამას და ამას. ოპოზიცია თავისი მოთხოვნებიდან რას არ დათმობდა, მთლიანობაში, უცნობია.

ამიტომ რჩება შთაბეჭდილება, ერთი პუნქტიც რომ დარჩენილიყო ხელისუფლების შეთავაზებებიდან ისეთი, რომელსაც არ ეთანხმებოდა ოპოზიცია, ისევ პროტესტის საგანი გახდებოდა.

მეორე მხრივ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ოპოზიცია არის თუ არა თანახმა, როგორი წესით ჩატარდება არჩევნები, ანუ ეს ორი სხვადასხვა თემაა.

**— გასაგებია, რომ ოპოზიციას დღეს აწყობს ასეთი პოზიციის დაფიქსირება, თუნდაც საზოგადოებაში რეიტინგის ასაწევად, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია, პარტიებისთვის პლურალისტური გარემოს შექმნის თემა, რასაც როგორც ითქვა, ხელისუფლების მხრიდან, ემსახურება საკონსტიტუციო ცვლილებები. ერთია პოლიტიკური განცხადებები, მაგრამ მეორე — რეალურად ძლიერი პოლიტიკური პარტიების არსებობის აუცილებლობა. რა შემთხვევაში შეძლებენ პარტიები გაძლიერებას? ამისათვის საკმარისია საკონსტიტუციო ცვლილებები თუ კიდევ სხვა რამ არის საჭირო?**

— ჩემი პასუხი, ალბათ, აღმოჩენა არ იქნება — ოპოზიციამ ხალხის მხარდაჭერა უნდა ნახოს. ხალხის მხარდაჭერის მოპოვება იმ პირობებში, როდესაც ძირითადი ოპოზიციური ძალა „ნაციონალური მოძრაობაა“, რომელიც ზუსტად იმ საყვედურებს გამოთქვამს ხელისუფლების მიმართ, რაც თვითონ აქვს თავის დროზე ჩადენილი, ოღონდ გაცილებით უფრო მძაფრი ფორმით. ასეთ ოპონენტს ხელისუფლებისას, ის ხალხი, ვისაც „ნაციონალური მოძრაობა“ ახსოვს, არ მიიღებს.

რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ პარტიებს, ისინიც მისაღები უნდა იყოს ხალხისთვის, მაგრამ ამ მხრივაც არ გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა.

**— რატომ დაკარგა ხალხმა ინტერესი პოლიტიკური ცხოვრებისადმი? ტრადიციულად ოპოზიცია ყოველთვის სარგებლობდა ხოლმე საზოგადოების მხარდაჭერით, რასაც ვერ ვიტყვით დღევანდელ სიტუაციაზე...**

— არ ტოვებენ სერიოზულ შთაბეჭდილებას, არ ითვალისწინებენ თვითონ ხალხს. მაგალითად, ახლა პარლამენტთან არის წამოწოლილი „პატრიოტთა ალიანსი“, ქუჩის აქციას რომ მოაწყობ, თანაც საპროტესტოს, ამ პროტესტში მოსახლეობის პროტესტიც ხომ უნდა იყოს?! და თანაც, მოსახლეობა უნდა ხედავდეს, რომ ქუჩაში გამოსვლაა გამოსავალი;

როცა ამას ხედავდა — 2012 წელს, ივანიშვილმა რომ დაიძახა, გაავსო ხალხმა ქუჩა. ოღონდ ივანიშვილმა რომ დაიძახა, იმიტომ კი არა, უბრალოდ, ხალხის მოთხოვნა იყო, შეცვალა ხელისუფლება და ივანიშვილი იყო შანსი ამ ხელისუფლების შეცვლისა.

ჩვენი ოპოზიციური პარტიები ვერ ხედავენ, რა შეიძლება შესთავაზონ ხალხს. ამბობენ, რომ გააჩენენ სამუშაო ადგილებს, მოუვლიან ეკოლოგიას, მაგრამ არც ერთი არ ამბობს, ამას როგორ მოახერხებენ.

დღეს უკვე მოსახლეობისთვის დაპირება ეტყობა, საკმარისი აღარ არის. „ეტყობას“ იმიტომ ვამბობ, რომ ფაქტია, დაპირებები არის, მაგრამ მოსახლეობას ამაზე რეაქცია არ აქვს. როგორც ჩანს, რაღაც უფრო რთული პოლიტიკური პროდუქტი უნდა შესთავაზო მოსახლეობას.

**— გასულ წლებში, შესაძლოა, ხალხი ვერ ბედავდა ოპოზიციისადმი ღიად მხარდაჭერის გამოხატვას, ვგულისხმობ, იმ პერიოდს, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლების ეშინოდა, მაგრამ მოსახლეობის განწყობებში იკითხებოდა ოპოზიციის მხარდაჭერა. დღეს ოპოზიციასა და ხალხს შორის დიდი უფსკრულია და ასეთი სიტუაცია, შეიძლება ითქვას, პირველად არის საქართველოში. მიზეზი არის ის, რომ ოპოზიცია ხალხის აზრს არ გამოხატავს, თუ ზოგადად, პოლიტიკის მიმართ გახდა გულგრილი საზოგადოება?**

— ანუ ხალხია დამნაშავე თუ ოპოზიცია? — ზოგადად, გულგრილობა პოლიტიკისადმი დემოკრატიულ საზოგადოებას ახასიათებს. მაგრამ გავიხსენოთ ერთი დეტალი, საიდანაც დავიწყეთ საუბარი — ოპოზიციამ საკონსატიტუციო მოთხოვნები წამოაყენა და ზეპირად ვიცით ეს მოთხოვნები, რომელიმე მოთხოვნა ხალხს ეხება?! ყველა მათგანი ოპოზიციის ინტერესებს ემსახურება თუ დაკმაყოფილდა, თორემ ხალხის ინტერესებს არც ერთი არ ემსახურება.

**ოპოზიციას ის მაინც რომ მოეფიქრებინა, კონსტიტუციის რა მუხლები შეიძლება აღმოჩნდეს ხალხისთვის გულზე მოსახვედრი, და ასეთ მუხლებთან თავისი პრეტენზია დაეყენებინა გვერდით, მაშინ შეძლებდა ხალხის გამოყვანას. ამაზეც კი არ შეიწუხეს თავი. მარტო იმას იძახიან, შეიცვალოს საარჩევნო სისტემაო და თან იმუქრებიან, ეს ხალხის მოთხოვნააო, არადა, არ არის ეს ხალხის მოთხოვნა.**

მით უფრო, რომ იძახიან, ხალხი ითხოვს ამასო, ეს კიდევ უფრო აჩენს უფსკრულს ოპოზიციასა და ხალხს შორის. ამიტომ, მომავალ არჩევნებზე ოპოზიცია კიდევ უფრო მძიმე სურათს აჩვენებს, ვიდრე ადრე.

ამიტომაა, რომ არ მესმის ხელისუფლების და როგორც ჩანს, მასაც არ აქვს ეს კარგად გათვლილი და გააზრებული, როდესაც საარჩევნო ბარიერი 3%-მდე დასწია. არ იყო ეს დათმობა გასაკეთებელი — რეალურ ცხოვრებაში უნდა აცხოვრო ყველა, მით უფრო ოპოზიცია.

მოხვდება თითო კაცი ოპოზიციიდან პარლამენტში და ამით დაკმაყოფილდებიან, მიიღებენ იმ თანხებს, რასაც ასეთ შემთხვევაში იღებენ ხოლმე და ეჭვია, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილი მხოლოდ იმაზე ნადირობს, ბიუჯეტიდან ფული მიიღოს და ამით დამთავრდება ყველაფერი, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება კი დარჩება ისევ იგივე დონეზე.

**— რაც შეეხება პოლიტიკურ ცხოვრებას: რა გამოცდილებაც გვაქვს, ყველაფერი წრეზე ტრიალებს. ანუ ისევ მივალთ იმ კონდიციამდე, რომ ხალხს მობეზრდება ყველაფერი, გამოვა ქუჩაში და შეცვლის ხელისუფლებას?**

— 90-იან წლებში სიამოვნებით გავდიოდით ქუჩაში, იმიტომ, რომ ეს ახალი ხილი იყო. შემდეგ, უკვე, ქუჩაში გასვლამ ფუნქციური ხასიათი მიიღო. გადიოდნენ ქუჩაში იმიტომ, რომ რაღაც აწუხებდათ — რეალურად მწვავე პრობლემებს ვგულისხმობ.

შევარდნაძის დროს კორუფციის თემა არსებობდა — ამას სააკაშვილმა აუღო ალღო და ამაზე წამოიყვანა ხალხი. სააკაშვილის დროს, უკვე, ძალადობის თემა არსებობდა და ამას აპროტესტებდა. ასე რომ, თუკი ხელისუფლება არაფერს დაუშავებს ხალხს და მხოლოდ მომაბეზრებელი ფაქტორი იქნება, არ იქნება იქ საპროტესტო იმპულსი.

ვერ ვიტყვი, რომ მუხტისთვის საფუძველი არ არის და შეიძლება, რომელიმე ქარიზმულმა პოლიტიკოსმა სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოუგვარებლობა, ჩინოვნიკების ინერტულობა, არაეფექტურობა გაიხადოს თავის სამიზნედ და ამის მიმართ პროტესტით წამოაყენოს ხალხი, მაგრამ ასეთი ტიპის ლიდერი, რომელიც ზუსტად შეარჩევდა სამიზნეებს და იპოვიდა ხალხში გამოძახილს, ამ შემადგენლობაში არ ჩანს.

**— შესაძლოა, გამოჩნდეს ასეთი ლიდერი, მაშინ როდესაც მომწიფდება სიტუაცია, მაგრამ არც ხელისუფლება ზრუნავს იმისათვის, რომ წინა ხელისუფლებების გაკვეთილებიდან რაღაც გაითვალისწინოს, რომ ისევ წრეზე წასვლა არ მოუხდეს ქვეყანას...**

— ის სიზარმაცე და დაუდევრობა, რასაც მოქალაქეების მიმართ ავლენს ხელისუფლება, საკუთარი თავის მიმართაც აქვს. ბევრი რამ გაცილებით ეფექტურად შეიძლებოდა გაკეთებულიყო, მაგრამ, როგორც წესი, ასეთია ხოლმე ის ხელისუფლება, რომელიც კონკურენტს ვერ ხედავს.

რატომ ამბობს დასავლეთი პოლიტიკაში კონკურენცია უნდა იყოსო? ეს ის დასავლეთია, რომელმაც კონკურენციით ეკონომიკა დააყენა ფეხზე და შემდეგ ეს მოდელი გადაიტანა პოლიტიკაში. ისევე როგორც თავისუფალი ბაზრის არსებობა განსაზღვრავს პროდუქციის ხარისხს, ჩათვალა, რომ პოლიტიკური კონკურენციაც აამაღლებდა ხარისხს.

როცა არ არის ეს კონკურენცია? — მხოლოდ საქართველოში კი არა, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცშია ეს პრობლემა, ბალტიისპირეთის გარდა. ყვალგან უკონკურენციო მართვაა — რუსეთში, შუა აზიის ქვეყნებში და ა.შ. ამიტომ ბუკიკიო რომ მოგვიწოდებს, კონკურენტული გარემო შექმენმით და შემდეგ კონსენსუსზე წადითო, როგორ უნდა შედგეს კონსენსუსი თითო პროცენტიან პარტიებს შორის, რომლებიც, ჯამში 10%-ს თუ შეაგროვებენ და 30 თუ 40%-იან ხელისუფლებას შორის? ასეთ პირობებში რა კონსენსუსზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? დასავლეთში 50%-ზე მაღალი რეიტინგის პარტიებს შორის პლუს-მინუს 5%-ზეა ხოლმე ლაპარაკი. ასეთი რეიტინგის დაგროვებას კი მაღალი პოლიტიკური კულტურა და დრო სჭირდება.

**— პოლიტიკური კულტურა პოლიტიკურ ველზე რომ დეფიციტური პროდუქტია, ამაზე ბევრჯერ გვისაუბრია, მაგრამ ეს რამდენად ნიშნავს, რომ განწირული ვართ იმისათვის, რათა ქვეყანა არ განვითარდეს? ზემოთაც ვთქვით, არაკონკურენტული გარემო ერთნაირად საზიანოა ეკონომიკისთვისაც და პოლიტიკისთვისაც...**

— არ ვიცი, რამდენად ვართ განწირული ამისთვის, თუმცა ამ ეტაპზე ვერ ვხედავ კონკურენციის მექანიზმის გაჩენას. მით უმეტეს, საპარლამენტო რესპუბლიკისკენ წავედით, მიმაჩნია, რომ ესეც არცთუ ისე ჭკვიანური ნაბიჯი იყო.

**— ლაპარაკი იყო, რომ პროპორციულ სისტემას პლურალისტური გარემო უნდა შეექმნა პოლიტიკურ ველზე, ანუ ხელოვნურად ვცდილობთ პოლიტიკური კონკურენციის გაჩენას და ესეც არ გამოგვდის?**

— საპარლამენტო რესპუბლიკა კონკურენციას არ გააჩენს — პირიქით, ერთი პარტია, რომელიც გაიმარჯვებს, სულ გამარჯვებული იქნება. საბჭოთა კავშირს მივიღებთ.

**— საპარლამენტო მმართველობა თავის არსში ერთი პარტიის მმართველობას ხომ არ გულისხმობს?**

— საპარლამენტო მმართველობა ევროპულმა კულტურამ წარმოქმნა, როდესაც პარტიები უფრო ადრე გაჩნდნენ, ვიდრე დემოკრატია. ამ პარტიების ბრძოლამ მიიყვანა რევოლუციამდე საფრანგეთი. ამერიკაში რატომ არ არის საპარლამენტო მმართველობა? — იმიტომ, რომ ამერიკაში არ იყვნენ ძველი და დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკური პარტიები — ამერიკის ჭკვიანმა მამებმა მოიფიქრეს, რომ უმჯობესია საპრეზიდენტო მმართველობა, რათა პარტიების უსუსურობამ კრიზისში არ შეიყვანოს ქვეყანა.

ეს სისტემა ჩვენთვისაც უფრო ადეკვატური იყო, მაგრამ ჩვენ ხომ იმაზე არ ვფიქრდებით, რა იქნებოდა ჩვენთვის უკეთესი და სწორი? რაღაც შემოვა მოდაში და მივყვებით მერე ამას. ასე რომ, დღეს ქვეყანაში იმ რესურსს ვერ ვხედავ, რომ პოლიტიკური პლურალიზმის მიღწევა იყოს შესაძლებელი, ანუ დაახლოებით თანაბარი ძალების მრავალმა პარტიამ იარსებოს.

ესაუბრა
**ლალი ზირაქიშვილი**

ოპოზიციას ის მაინც რომ მოეფიქრებინა, კონსტიტუციის რა მუხლები შეიძლება აღმოჩნდეს ხალხისთვის გულზე მოსახვედრი, და ასეთ მუხლებთან თავისი პრეტენზია დაეყენებინა გვერდით, მაშინ შეძლებდა ხალხის გამოყვანას. ამაზეც კი არ შეიწუხეს თავი. მარტო იმას იძახიან, შეიცვალოს საარჩევნო სისტემაო და თან იმუქრებიან, ეს ხალხის მოთხოვნააო, არადა, არ არის ეს ხალხის მოთხოვნა.



# პეტრე დიდი - ბაგრატიონთა შთამომავალი?

საამაყო მემკვიდრეობა

# ქართულად ამეტყველებული უცნობი ფოლიანტები




**ქართულად** გამოიცა ცნობილი ისტორიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ჯუანშერ ვათეიშვილის შვიდტომეული(!) „საქართველო და ევროპის ქვეყნები“, რომელიც წლების წინათ მოსკოვში გამოცემული ამავე სახელწოდების მრავალტომეულის მშობლიურ ენაზე ამეტყველებაა.

ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲐᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐ.

ნაშრომი წარმოგვიჩენს საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ურთიერთობას საუკუნეთა განმავლობაში, გვაცნობს პიეტრო დელა ვალეს — ევროპული ქართველოლოგის წინამორბედს, გეოგრაფიულ აღმოჩენათა ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანის ნიკოლას ვიტსენის აქამდე უცნობ მასალებს საქართველოს შესახებ, XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედის ჰოლანდიურ-ქართული ურთიერთობის ასპექტებს, ცნობებს ვიტსენისა და ბატონიშვილ ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონის შესახებ.

ერთი ტომი (III) თითქმის მთლიანად ალექსანდრე ბაგრატიონის რუსეთსა და შვედეთში ცხოვრებას და მოღვაწეობას ეთმობა. გვაცნობს რუსეთში ქართული წიგნთბეჭდვის დაწყებას, რუსეთის პირველი ფელდცოიხმაისტერის ალექსანდრე ბატონიშვილის ლიტერატურულ საქმიანობას.

საქართველო-რუსეთის XVIII-XIX საუკუნეებში ურთიერთობას ეხება IV ტომი, წარმოდგენილია უხვი მასალები ორი ქვეყნის ურთიერთობის ჩასახვა-განმტკიცებაზე (X-XII სს) და თათარ-მონღოლთა შემოსევის შედეგად შესუსტებული კავშირის აღდგენაზე, ქართულ სამეფოთა პოლიტიკური კავშირის განმტკიცებაზე რუსეთთან, მოსკოვში ქართული კოლონიის აღმოცენებაზე, ქართული დიასპორის მონაწილეობაზე რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჟიზეფ-ნიკოლა დელილისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქართულ-რუსულ-ფრანგულ სამეცნიერო თანამშრომლობაზე XVIII ს. 30-50-იან წლებში, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან ქართველი ემიგრანტების თანამშრომლობის დასაწყისზე, პირველ ნაბეჭდ ქართულ ბიბლიაზე.

V ტომში განხილულია გეორგიევსკის ტრაქტატის არსი, საქართველოს შეერთება რუსეთთან, პლატონ იოსელიანის საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

VI ტომში საუბარია საქართველოს მონაწილეობაზე რუსეთის კავკასიურ ომებში XIX საუკუნის I მესამედში, თუ როგორ იდგა საქართველო ბონაპარტისტული საფრანგეთის გეგმებში, როგორ ჩაისახა რუსული საზოგადოებრივი აზრი საქართველოში, პირველ ქართველოლოგიურ გამოცემაზე რუსეთში, საქართველოში ბეჭდვითი საქმის დაფუძნება და მისი შემდგომი განვითარება რუსეთში. პირველი რუსული გაზეთი კავკასიაში — „ტბილისკიე ვედომოსტი“.

— ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ამ ვრცელი ნაშრომის, რომლის შექმნასაც ათწლეულები მოვანდომე მოსკოვში, ქართულ გამოცემას მოვესწარი. მასში გაანალიზებული რუსეთისა და ევროპის ქვეყნების უხვი ისტორიოგრაფიული საარქივო მასალების უმრავლესობა უცნობია ქართული მეცნიერებისთვის. წელთა მატების შესაბამისად სულ იმის მეშინოდა, ვაითუ, მის ქართულად ამეტყველებას ვერ მოვესწრო-მეთქი. მადლობა ღმერთს, რომ ჩემი, როგორც ქართველი მკვლევარის ვალი პირნათლად მოვიხადე — სიხარულსა და სიამაყეს ვერ მალავს ბატონი ჯუანშერი.

**ხვალიდან ვიწყებთ ორი თავის გამოქვეყნებას (მცირედი შემცირებით) ბატონ ჯუანშერ ვათეიშვილის შვიდტომეულიდან „საქართველო და ევროპის ქვეყნები“. ორივე თავი საქართველოს ისტორიის უაღრესად საინტერესო მონაკვეთებს ეხება. პირველია, თუ ვინ იყვნენ პირველი ქართველი „დასავლეთევროპელები“. აქ უპირველესად დასახელებულია სამი ისტორიული პიროვნება: ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი — 1585-1658 წ.წ.), მისი თანამედროვე თინათინ ციბა ან წიბა (ციბაშვილი, სიბაშვილი, წიბახიშვილი) დელა ვალე (1610-1673 წ.წ.) და ბატონიშვილი ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი (1674-1711 წ.წ.)**

პროფ. ჯ. ვათეიშვილი გვიამბობს, თუ რატომ მიიჩნევს მათ პირველ ქართველ დასავლეთევროპელებად, ცოცხლად გადმოგვცემს თავგადასავლებით გაჯერებულ მათ ბიოგრაფიებს. მათ ღვაწლი დასდეს საქართველოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან უძველესი დროიდან მომდინარე ურთიერთობის განმტკიცებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ურთიერთობას წარსულში ხანგრძლივი წყვეტები ახასიათებდა, რაც ქართული სახელმწიფოს ძნელბედობით, ანუ გარემომცველი მუსლიმანური სამყაროს აგრესიულობით აიხსნება. XVIII საუკუნის ბოლოდან ქართველმა ხალხმა ჯერ ძლიერი ქრისტიანული რუსეთის მფარველობით, რასაც საკმაო პოლიტიკური ხარვეზი გააჩნდა, ხოლო შემდეგ ისტორიული პროცესის კანონზომიერი განვითარების შედეგად, არა მხოლოდ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას მიაღწია, არამედ სრულად აღადგინა და სტაბილურად განავითარა ურთიერთობა დასავლეთ ევროპულ სამყაროსთან, დღევანდელ საქართველოში არსებულმა სწორედ ასეთმა ვითარებამ განაპირობა შემეცნებითი ინტერესი პირველი ქართველი დასავლეთევროპელების მიმართ, რომლებმაც თავისი ღირსეული მოღვაწეობით დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს სადღეისო მჭიდრო კონტაქტებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲗᲐᲕᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ. ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲓᲘᲓᲫᲐᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲛᲝᲰᲧᲐᲕᲡ, ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲞᲔᲢᲠᲔ I ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲘ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡ (ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲜᲐᲖᲐᲠᲐᲚᲘᲮᲐᲜᲘ) ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ.

ავტორის სურვილისამებრ ამ საგაზეთო პუბლიკაციის ხელმოწერა იქნება **ჯუანშერ ვათაძე**.

შეგახსენებთ, პუბლიკაცია ხვალიდან დაიწყება.

**ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ**

## აფეთქება საქართველო-დაღესტნის საზღვარზე

შსს საქართველო-დაღესტნის საზღვარზე მომხდარი აფეთქების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ერთი მესაზღვრის გარდაცვალება დამწვრობამ გამოიწვია.

**„მიმდინარე წლის 25 სექტემბერს შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის №5 სამმართველოს (ლაგოდეხი) №5 სექტორის (შილდა) დისლოკაციის ადგილზე, პირველადი ინფორმაციით, მოხდა გაზის ბალონის აალება. მიღებული დამწვრობის შედეგად გარდაიცვალა სასაზღვრო პოლიციის II ჯგუფის სპეციალისტი (უფროსი მესაზღვრე), უფროსი ლეიტენანტი ლაშა ჩუბინიძე. შემთხვევის შედეგად დაშავდა სასაზღვრო პოლიციის სამი მოსამსახურე, რომელთაც სხვადასხვა ხარისხის დამწვრობები აღენიშნებათ. ისინი მკურნალობის კურსს კლინიკაში გადიან. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით მიმდინარეობს“,** — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

## რუსეთი NATO-ს გააქტიურებით შეშფოთებულია

**„NATO-ს გააქტიურება იმიერკავკასიაში სერიოზული დესტაბილიზაციის საფრთხეს აჩენს და ემუქრება რუსეთის ფედერციის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოებას“** — აცხადებენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. უწყების ინფორმაციით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის იმიერკავკასიაში გააქტიურებასთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ, საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილე გრიგორი კარასინმა ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებთან შეხვედრაზე ისაუბრა.

რუსეთის საგარეო უწყება შეშფოთებას გამოთქვამს და აცხადებს, რომ საქართველოში გრძელდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის დისლოცირება, იმართება წვრთნები, ხდება NATO-ს სამხედრო სტანდარტების და მათ მართვის სისტემის დანერგვა. კარასინის თქმით, ასეთ სიტუაციაში ჩნდება აუცილებლობა, თბილისსა და თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს შორის ძალის გამოუყენებლობის შეთანხმება გაფორმდეს.



## დავით ზარდიაშვილი:

# ივანიშვილის ფაქტორი კიდევ მუშაობს!



**ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი ფიქრობს, რომელიც მმართველმა გუნდმა წარმოადგინა, ხმას კახა კალაძის ავტორიტეტის ხარჯზე მიიღებს. იმ შემთხვევაში, თუკი უფრო შორეულ ფესვებს დავუწყებთ ძებნას, მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი კიდევ მუშაობს.**

**ვის და რას აძლევს ხმას ქართველი ამომრჩეველი — გუნდს, პროგრამას თუ ლიდერს? ამ საკითხებთან დაკავშირებით** for.ge **დავით ზარდიაშვილს ესაუბრა.**

**— მმართველი გუნდის პროპორციული სიის ათეული გასაჯაროვდა. წარმოდგენილი კანდიდატებიდან პოლიტიკური ბეგრაუნდი თითქმის არც არავის არა აქვს, თუ არ ჩავთვლით თედო ისაკაძეს. გუნდს, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური კაპიტალი, რამდენად რთული იქნება მისთვის მმართველობით სისტემაში ჩართვა?**

— ნამდვილად, ამ სიაში არის თედო ისაკაძე, რომელსაც ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობიდან იცნობს საზოგადოება. შემდეგ წლებშიც შეხება ჰქონდა პოლიტიკასთან. ედუარდ შევარდნაძის დროს იყო სახელმწიფო მინისტრის მოადგილე. მას უდავოდ, აქვს პოლიტიკური გამოცდილება. საკმაოდ საინტერესო ფიგურაა და, რა თქმა უნდა, მისი სიაში მოხვედრა სულაც არ არის უცნაური.

რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, ვერაფერს ვიტყვი. მათ არ ვიცნობ. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, უფრო მეტად მაინც „ქართულ ოცნებას“ ვენდობოდი იმ თვალსაზრისით, რომ მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება სიების ფორმირებას.

**— ნდობის თვალსაზრისით უკეთესი იქნებოდა სიის ფორმირების პროცესში უფრო მეტად რომ ყოფილიყო საზოგადოება ჩართული?**

— რა თქმა უნდა. ამიტომაც ვამბობდი და ახლაც იგივეს ვიმეორებ, რომ კარგი იქნებოდა გერმანული საარჩევნო სისტემა. გერმანიაშიც პროპორციული არჩევნებია, მაგრამ საარჩევნო სია რანგირებული არ არის. თვითონ მოქალაქეები ახდენენ ამ სიის რანგირებას იმისდა მიხედვით, თუ რომელ კანდიდატს რამდენ ხმას აძლევენ. მოქალაქეები გადამწვეტ როლს თამაშობენ იმაში, თუ ვინ მოხვდება შემდეგ წარმომადგენლობით ორგანოში.

**— ის, რომ გუნდს არა აქვს პოლიტიკური ბეგრაუნდი, ეს რამდენად წამგებიანი შეიძლება აღმოჩნდეს „ქართული ოცნებისთვის“? ამას გეკითხებით იმიტომ, რომ ოპონენტები, და არა მარტო ოპონენტები, მმართველ გუნდს სწორედ იმას საყვედურობენ, რომ გუნდს პოლიტიკური კაპიტალი არა აქვს დაგროვილი...**

— თითოეულ მათგანს და ეს არა მარტო „ქართულ ოცნებაზე“ შეიძლება ითქვას, არამედ ნებისმიერ სხვა პარტიულ სიაზეც, თითოეულ პიროვნებას, ვინც ამ სიაშია, გარკვეული ბიოგრაფია და დამსახურება გააჩნია. ზოგს პოზიტიური, ზოგსაც ნეგატიური, შერჩევის მექანიზმიც შიდაპარტიულია. მოქალაქეებისთვის ეს ერთგვარი შავი ყუთია. როგორ, რა ნიშნით და რა შეხედულებით ხდება სიის შედგენა, პიროვნული ურთიერთობის, თუ სხვა რაღაცა საშუალებებით, ცხადია, გაუგებარია.

ჩვენ, მოქალაქეებს, არანირი ბერკეტი არ გაგვაჩნია იმისათვის, რომ ეს პროცესი რამენაირად ვაკონტროლოთ. თუმცა, პასუხისმგებლობის ტვირთი ყველაზე მეტად „ქართულ ოცნებას“ აქვს. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სხვა პარტიებისგან განსხვავებით, სიების შედგენისას უფრო ობიექტური კრიტერიუმებით იხელმძღვანელებდა.

**— სად არიან ეს პარტიები?**

— სწორედ ეს არის პრობლემა. პარტიების მაგივრად ლიდერის გარშემო შემოკრებილი სარგებლობის მოლოდინში მყოფი პოლიტიკური ჯგუფები გვყავს, რომლებიც სარგებელს მიიღებენ იმის შესაბამისად, რა წარმატებას მოიპოვებს ლიდერი. ეს არის მთელი სისტემა. ამიტომ, ეს სისტემა უნდა შეიცვალოს. კონსტიტუციის პროექტი სწორედ ამას ამბობს, რომ საპარლამენტო მოდელზე გადასვლა, ეს ნიშნავს, რომ უნდა გადავიდეთ რეალურ პოლიტიკურ სისტემაზე.

რეალური პარტიები უნდა შეიქმნას ხალხის ჩართულობით და არა ის, რომ ვიღაცა ლიდერია და ა.შ. ეს „გუგავა მოვას“ დრო უნდა წავიდეს. სასაცილოა უკვე. პარტიები უნდა განვითარდნენ, რაც შიდა პარტიულ დემოკრატიას და საზოგადოების მეტ მონაწილეობას ნიშნავს. მოქალაქეთა ფართო ფენები უნდა ჩაერთონ პოლიტიკაში, მათი ინტერესების გამტარებლები უნდა იყვნენ ეს პარტიები. დღეს ასე არ არის.

**— პარტიების განვითარებას ალბათ დიდი დრო დასჭირდება...**

— რა თქმა უნდა. ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ცვლილება, რაც ამ კონსტიტუციაში წერია, ის არის, რომ რეალური ნაბიჯები გადაიდგას პარტიულ-პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისკენ. ეს პროცესები ორიენტირებული უნდა იყოს მოქალაქეებზე და არა ლიდერებზე და კლიენტურ ურთიერთობებზე, რაც დღეს გვაქვს.

**— როგორ ფიქრობთ, წარმოდგენილი გუნდი მოქალაქეებზე არის ორიენტირებული თუ პარტიაზე?**

— რასაკვირველია, ეს სია შორს არის იდეალურისგან. მოქალაქეებს მონაწილეობა არ მიუღიათ ამ სიის ფორმირებაში, ჩემთვის და თქვენთვის არავის უკითხავს, ვინ შევიყვანოთ ამ სიაშიო. რეალურად, ესეც დახურული პროცესი იყო. მაგრამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რამდენადაც მმართველი პარტიაა, უფრო მეტად მოქალაქეებზე უნდა იყოს ორიენტირებული და ეს პარტიის ინტერესშიც უნდა შედიოდეს. იგივე მოხდა მერების კანდიდატების შერჩევისას. ჩემთვის უცნობია, არ ვიცი, როგორ და რა კრიტერიუმით მოხდა შერჩევა...

**— რაც შეეხება ოპოზიციის ათეულს, „ევროპული საქართველოს“ სიის პირველი ნომერი არის გოკა გაბაშვილი. პარტია ამბობს, რომ სიის ათეულს ამომრჩევლის მხარდაჭერით დააკომპლექტებს...**

— ამ პარტიის პირველ ნომერს, გოკა გაბაშვილს იმდენად აქვს თავი მოჭრილი, იმდენად დისკრედიტებულია თავისი პოლიტიკური წარსულით, რომ მხოლოდ და მხოლოდ ტვირთი იქნება ამ სიისთვის. მე, რომც ვიცოდე, რომ სულ ბრწყინვალე ადამიანები არიან სიაში, იმ პარტიას ხმას არასოდეს არ მივცემ, სადაც სიის პირველი ნომერი ბატონი გაბაშვილია. ვფიქრობ, რომ მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ასე არის განწყობილი. გოკა გაბაშვილის დანახვა და გაგონება არ მინდა, არათუ მისი საკრებულოს წევრობა.

**— იგივე ვითარებაა „ნაციონალურ მოძრაობაში“ — პარტიის პირველი ნომერია ნიკა მელია. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ შეძლეს ამ პარტიებმა გუნდის განახლება, ისეთი კანდიდატების წარდგენა, რომლებსაც აქვთ ავტორიტეტი საზოგადოებაში?**

— ძალიან გამიკვირდებოდა 2012 წლის მერე ახალი სახე შემატებოდა ნაციონალების გუნდს. ადამიანი გიჟი უნდა იყო „ნაციონალურ მოძრაობაში“ რომ შეხვიდე, ან ძალიან ვიწრო მერკანტილური ინტერესი უნდა გქონდეს.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ არ იცვლებიან პარტიები, პრობლემა რაშია?**

— პოლიტიკოსის მთავარი კაპიტალი არის სოციალური კაპიტალი. ეს შეიძლება სულაც სხვა სფეროში გქონდეს დაგროვილი. მას რომ ჰქონდეს მოსახლეობის ნდობა, თვითონ ეს პარტია უნდა იმსახურებდეს ნდობას. ჩვენთან ძალიან რთულია ამ სოციალური კაპიტალის დაგროვება იმიტომ, რომ არც პარტიული პოლიტიკური სისტემა არ გვივარგა და, როგორც გითხარით, ჯერჯერობით პარტიებიც არ გვყავს. რეალურად ესენი ყველანი კლიენტელები არიან.

„ოცნების“ და „ნაცების“ გარდა დამისახელეთ ერთი პარტია, რომელსაც ცენტრალურ დონეზე შეუძლია მთავრობის ფორმირება. ვერ მეტყვით ასეთ პარტიას. პრობლემა არის მრავალმხრივი. ერთ-ერთი არის საარჩევნო სისტემა, მაგრამ არა გადამწყვეტი. პირველ რიგში, ეს არის შიდაპარტიული სისტემა, რომელიც თავიდან ბოლომდე კლიენტელიზმის პრინციპზე არის აწყობილი. გაცვეთილი სახეები არიან ყველგან.

**— 2012 წელს, ისევე როგორც 2016 წელს, დეპუტატების უმრავლესობამ მოსახლეობისგან მანდატი ბიძინა ივანიშვილის ფაქტორიდან გამომდინარე მიიღო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსახლეობა ნდობის მანდატს აძლევს კახა კალაძეს, რომელსაც საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს და საკმაო პოპულარობით სარგებლობს საზოგადოების ყველა ფენაში, თუ ხმას აძლევს გუნდს, რომელიც წარმოადგინა? რას აძლევს ხმას ქართველი ამომრჩეველი — გუნდს, პროგრამას თუ ლიდერს?**

— ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი კითხვაა. გააჩნია, ვინ როგორ, ამას სერიოზული სოციოლოგიური კვლევები ჭირდება, რომელიც ჩვენთან არ არის. როგორც კი მოსახლეობაში გაჩნდება ინტერესი პარტიების მიმართ, ასეთი კვლევები ჩატარდება. მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი, არჩევნებს იგებს გარკვეული რესურსი — ეს არის ფული, ლიდერის ავტორიტეტი, ადმინისტრაციული რესურსი.

რახან სოციოლიგიური კვლევა არ გვაქვს, შეგვიძლია ზედაპირულად შევაფასოთ, რა ხდება და როგორ იქცევა ქართველი ამომრჩეველი. რასაკვირველია, ეს გუნდი აღიქმება როგორც კალაძის გუნდი. აპრიორი არის ცხადი, რომ კალაძის გამო მიიღებს ხმას ეს გუნდი. უფრო შორეულ ფესვებს თუ დავუწყებთ ძებნას, რასაკვირველია, ივანიშვილის ფაქტორი კიდევ მუშაობს. თუმცა, ნელ-ნელა ეს ფაქტორი ქრება და ვფიქრობ, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში საერთოდ არ იქნება.

ჩვენთან პოლიტიკა მაინც პერსონალიზებულია. პიროვნებებთან არის დაკავშირებული და არა იდეებთან. პოლიტიკური იდეები, პროგრამები, გუნდურობა, სოციალური კაპიტალი, რაც პოლიტიკოსის უკან უნდა იდგეს, არ არსებობს. ჩვენთან ის ადამიანები მიდიან პოლიტიკაში, რომლებიც წარმატების სწრაფად მოპოვებას ცდილობენ, — იგივე მატერიალური კეთილდღეობა, სახელის მოხვეჭა, ამისთვის პოლიტიკა არის იოლი გზა. ბიზნესში არ მიდიან, სიამოვნებით მიდიან პოლიტიკაში, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა ამის უნარი. სისტემური ცვლილებები გვჭირდება. საზოგადოების სერიოზული გარდაქმნა გვჭირდება იმისთვის, რომ მივიდეთ იქამდე, რაც კონსტიტუციაში გვიწერია — საპარლამენტო მმართველობა.

**— რაც სერიოზული პარტიების გარეშე წარმოუდგენელია...**

— რასაკვირველია. ასეთი რამე არ შეიძლება. კვერცხისა და ქათმის ვარიანტია, რომელი უნდა ჩამოყალიბდეს ადრე — საპარლამენტო მმართველობა თუ პოლიტიკური პარტია. ეს ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. პარტიების გარეშე საპარლამენტო მმართველობას პრობლემები ელოდება. ჩვენ კიდევ ბევრი კრიზისი უნდა გადავლახოთ, რომ იქამდე მივიდეთ. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ამ კრიზისებს სტაბილურობა გადავაყოლოთ იმიტომ, რომ არის კონსტიტუციაში ერთგვარი ოქროს შუალედი — კი ბატონო, პოლიტიკური პლურალიზმი, პარტიების განვითარება, მაგრამ არა ქვეყნის სტაბილურობის ხარჯზე. პარტიებმა უნდა ნახონ განვითარების რესურსი, როგორ ჰქონდეთ უკეთესი კავშირი მოსახლეობასთან.

**— რატომ არა აქვთ პარტიებს განვითარების სურვილი, რაც ქმნის რეალურ პრობლემას?**

— იმიტომ, რომ მუქთაზე უნდათ თავიანთი მდგომარეობის მოპოვება. არ უნდათ განვითარება იმიტომ, რომ იოლად იღებენ იმას, რისი მიღების სურვილიც აქვთ. ხელისუფლებაში მოსვლის არავითარი ამბიცია არა აქვს აბსოლუტურ უმრავლესობას. მთავარია, იტივტივონ — ხანდახან ტელევიზორში გამოვიდნენ და პურის ფული იშოვონ. აი ეს ვითარება გვაქვს და იმიტომაც არის სასაცილო — „გუგავა მოვა“. კიდევ ერთხელ გავმეორდები — სისტემური ცვლილებებია საჭირო. პარტიის ზემოდან შექმნა წარმოუდგენელია. ჩვენ, ქართველმა ხალხმა უნდა შევქმნათ ეს პარტიები. თავისით არ შეიქმნება.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

# გიორგი გახარია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას შეხვდა

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას შეხვდა. შეხვედრის მთავარი თემა არსებული სამწლიანი პროგრამის მიმდინარეობა და სტრუქტურული რეფორმები იყო.**

შეხვედრაზე მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს საპენსიო რეფორმის, კერძო და საჯარო თანამშრომლობისა და კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე.



საუბარი შეეხო ეკონომიკურ მაჩვენებლებს და წლის ბოლომდე ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში სამწლიან პროგრამას ახორციელებს. ახალი პროგრამა საქართველოს მთავრობის რეფორმების გეგმას ეფუძნება.

# ონში ახლადრეაბილიტირებული საჯარო სკოლა გაიხსნა

**ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში ონში სრულად რეაბილიტირებული საჯარო სკოლა საზეიმოდ გაიხსნა. ონის სკოლა ერთ-ერთია იმ 30 სკოლიდან, რომელიც ახალ სასწავლო წელს რეაბილიტირებული სპორტული დარბაზებით, საკლასო ოთახებით და სრულად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიებით შეხვდა.**



საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს აშშ-ის ელჩმა საქართველოში იან კელიმ, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ჯენერ ედელმანმა და განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თეიმურაზ მურღულიამ.

**„ყოველთვის ვხედავდი საქართველოს განვითარების და წარმატების პოტენციალს. დღევანდელმა დღემ ეს კიდევ უფრო ნათელი გახადა და დავრწმუნდი, რომ საქართველო ნამდვილად სწორ გზაზე დგას. მოხარული ვარ, ამ პროცესებში ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვანი წვლილი რომ შეაქვს.“** — განაცხადა იან კელიმ.

**„ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია მიესალმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან პარტნიორობას და შედეგად მოხარული ვართ, ონის შთამბეჭდავი, ახლადრეაბილიტირებული სკოლის გახსნით. ონის რეაბილიტირებულ სკოლაში 400-ზე მეტ მოსწავლეს უკვე შეუძლია ისწავლოს თბილ, უსაფრთხო, თანამედროვე გარემოში და ჩაატარონ ექსპერიმენტები სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიაში მთელი წლის განმავლობაში.“** — აღნიშნა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ჯენერ ედელმანმა

**ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში 2016-2017 წლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღიჭურვა 30 საჯარო სკოლა მცხეთა-თიანეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში. ჯამში რეაბილიტირდა 70 ათასი კვადრატული მეტრი ფართი და სასწავლო გარემო გაუმჯობესდა 10,000-ზე მეტი მოსწავლისთვის.**

პარალელურად მიმდინარეობს 30 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია კახეთის, ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. ჯამში რეაბილიტაცია უტარდება 62 ათას კვადრატულ მეტრ ფართს. სასწავლო გარემო გაუმჯობესდება 13 ათასი მოსწავლისთვის.

# საცხოვრებელი ფართობის დაკანონება პრობლემა არ იქნება

**„ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე კრწანისის მოსახლეობას შეხვდა და პროგრამული ხედვები გააცნო.**



კახა კალაძის თქმით, თბილისის მოსახლეობას ყველაზე ხშირად საცხოვრებელი ფართის დაკანონების პრობლემა აწუხებს. თბილისის მერობის კანდიდატი პირობას დებს, რომ აღნიშნული საკითხი მისი მერობის პირობებში მოგვარდება. გარდა ამისა, 25 სექტემბერს კალაძემ თბილისის სოციალური პოლიტიკის პრეზენტაცია გამართა. თბილისის მერობის კანდიდატის თქმით, შემუშავებული სოციალური პოლიტიკა სამ მიზანს ისახავს: სოციალურ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ჯანდაცვის პროგრამების განვითარება და ინკლუზიური ქალაქი ყველა თაობისთვის.

კახა კალაძემ აღნიშნა, რომ დაიხვეწება არსებული 22 სოციალური პროგრამა, რომლებიც განკუთვნილია სოციალურად დაუცველების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ხანდაზმულებისა და ახალშობილებისთვის.

მომავალ წლებში, ჯანდაცვის მიმართულებით, ორი მუნიციპალური პროგრამა გაფართოვდება. დაავადებათა სკრინინგის პროგრამას დაემატება ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგის, ხოლო ტრანსპლანტაციის პროგრამას — ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტი. თბილისის მერობის კანდიდატი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის პროგრამების ადმინისტრირება სრულად ელექტრონულ მართვაზე გადავა და მინიმუმამდე შემცირდება დაფინანსების მიღებისთვის საჭირო მოცდის პერიოდი. ამასთან, ჯანდაცვის სერვისების დაფინანსება გამგეობებისგან გაგრძელდება.

# მიმდინარეობს ავშნის ქუჩის კაპიტალური რეაბილიტაცია

**თბილისის მერი დავით ნარმანია ნაძალადევის რაიონის გამგებელ ირაკლი ხელაძესთან ერთად ავშნის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.**

ავშნის ქუჩასა და შესახვევებში აქამდე კანალიზაციის ცენტრალური სისტემა და ასფალტის გზა არ არსებობდა. პროექტის ფარგლებში მოეწყო კანალიზაციის ქსელი და დაერთებები, შეიცვალა წყალსადენის მილები და 13 000 კვ.მ ფართობზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მიმდინარეობს. კერძოდ, მოეწყო ბორდიურები, ტროტუარები და გზის სავალ ნაწილზე იგება ასფალტის ახალი საფარი.

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, ავშნის ქუჩაზე მიმდინარე საგზაო სამუშაოები, ნაძალადევის რაიონისთვის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტია. ინფრასტრუქტურული სამუშაოების საერთო ღირებულება 950 000-მდე ლარს შეადგენს.

# გზის ახალი მონიშვნა

**კოხტავდება და ლამაზდება თბილისი, უფრო მეტად მიმზიდველი ხდება მისი ეზო-ქუჩები.**

**განსაკუთრებულად ინტენსიური მოძრაობის უბნებში გამყოფ „უსაფრთხოების ზონებთან“ ერთად ფეხით მოსიარულეთათვის განკუთნვილი გადასასვლელების მონიშვნაც შეიცვალა. ღია აგურისფერი და თეთრი ზოლების მონაცვლეობა ერთი რომ გაცილებით ლამაზი სანახავია, მეორეც — ფეხით მოსიარულეებსაც და ავტომანქანების მძღოლებსაც უფრო ფხიზლად ამყოფებს.**



**ნინო ალექსანდრია,**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

# ტექდათვალიერების გადავადება სულ უფრო რეალური ხდება

**დაიწყება თუ არა იანვრიდან ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია. სპეციალისტები ამბობენ, რომ დღევანდელი მოცემულობიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. საპირისპირო განწყობაა აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში, სადაც ამტკიცებენ, რომ 1 იანვრისთვის ყველაფერი მზად იქნება.**



იმისათვის, რომ ინსპექტირება ერთიანად ყველა მსუბუქი ავტომობილისთვის არ გახდეს სავალდებულო, გარკვეული რეგულაციები მუშავდება. შესაძლოა, ავტომობილები წლოვანების ან სანომრე ნიშნების მიხედვით დაიყოს და ამის მიხედვით ინსპექტირება სხვადასხვა დროს ამოქმედდეს.

**კონკრეტულად რა რეგულაციებზე მიდის მუშაობა, რა ეტაპზეა პროცესი, გახდება თუ არა ტექდათვალიერება სავალდებულო 1 იანვრიდან, რამდენად მოსალოდნელია მისი გადავადება, ამ თემაზე ეკონომიკის სამინისტროში კომენტარს არ აკეთებენ.**

ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვნელი დავით მესხიშვილი კი ტექდათვალიერების გადავადებას რეალურად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ რეგულაციის იანვრიდან ამოქმედების შესაძლებლობას ვერ ხედავს.

**„შეიძლება ითქვას, ეს პროცესი გაჭედილია. რეგლამენტი არ გვაქვს, მძღოლები, ცენტრები მზად არ არის, არაფერი გვაქვს და ამიტომ ტექნიკური დათვალიერების გადავადება რეალურად მიმაჩნია. პროცესი დახურულია — არ ვიცით, რა შემოწმდება, რომელი ავტომობილების შემოწმება დაიწყება პირველ ეტაპზე და ა.შ. სწორედ ამიტომ ვითხოვთ ჩვენც, რომ პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართვა მოხდეს“,** — განუცხადა „ბიპიენს“ მესხიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის ქვეყნის მასშტაბით 26 აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანოა, აქედან თბილისში მხოლოდ ოთხია.

სხვაგვარ მონაცემებს ავრცელებს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი. მისი ხელმძღვანელის **პაატა გოგოლიძის** ინფორმაციით, შემოწმების ცენტრებში ხაზების რაოდენობა 35-მდეა. აქედან 7 თბილისშია. მათი რაოდენობა წლის ბოლომდეც მოიმატებს და მომდევნო თვეების განმავლობაში ცენტრების რაოდენობა დაახლოებით 15-20%-ით გაიზრდება.

**„ყველა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისთვის ინსპექტირების ვადა განსხვავებულია. ეს ნიშნავს, რომ ყველას ერთად არ დასჭირდება ცენტრებში მისვლა, დროში ეს პროცესი ისე იქნება განაწილებული, რომ ცენტრების რაოდენობა საკმარისი იყოს. ამ მხრივ პრობლემა ნამდვილად არ გვექნება.**

**სავალდებულო ტექდათვალიერების დაწყებამდე სულ რამდენიმე თვეა დარჩენილი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიახლისთვის ბაზარი მზად იქნება, დაბრკოლებას არ ველოდებით. აკრედიტირებული ტესტირების ცენტრების დანიშნულება იქნება სწორედ ის, რომ შეამოწმოს სატრანსპორტო საშუალებები რამდენად აკმაყოფილებს საგზაო უსაფრთხოებისა და გამონაბოლქვის მოთხოვნებს. ამ ეტაპზე საქართველოს ყველა რეგიონში უკვე არის ეს ცენტრები და წლის ბოლომდე მათ კიდევ რამდენიმე დაემატება, სავარაუდოდ, მათი რაოდენობა 15-20%-ით გაიზრდება“,** — აცხადებს გოგოლიძე.

ავტომობილები წლოვანების მიხედვით, სხვადასხვა კატეგორიად დაიყოფიან. **ჯერჯერობით 20 და მეტი წლოვანების ავტომობილების შემოწმების საბოლოო ვადაა 2018 წლის 1 იანვარი; ასევე, 17-დან 19 წლამდე ავტომობილებიც უნდა შემოწმდეს 2018 წლის 1 იანვრამდე, ხოლო 14-დან 16 წლამდე მანქანების საბოლოო ვადა 2018 წლის 1 ივნისია. 11-დან 13 წლამდე ავტომობილების შემოწმების ვადა 2019 წლის 1 იანვარია; 1-დან 10 წლამდე ავტომობილებისთვის საბოლოო ვადაა 2019 წლის 1 ივნისი.**

ცხადია, **თუკი მოცემულ ვადებში არ ექნებათ მძღოლებს სერტიფიკატი, დაჯარიმდებიან. საქართველოში სულ დაახლოებით 1,2 მლნ ავტომობილია რეგისტრირებული, საიდანაც ბუნებრივ აირზე 300 ათასი მუშაობს. მათი 40 პროცენტი, დაახლოებით 550 ათასი კი 20 წელზე მეტი ხნისაა.**

**ბექა დანელია**

# რუსეთი არის მტერი!

## ერთიანი ეროვნული მიდგომის აუცილებლობა



**იმისათვის, რომ ვისაუბროთ თემაზე — უნდა შეიზღუდოს თუ არა რუსული და პრორუსული მედიის საშუალებები საქართველოში, უპირველესად, უნდა განვსაზღვროთ, რა მდგომარეობაში ვიმყოფებით რუსეთთან?.. ამასთან, ეს უნდა განსაზღვროს არა მხოლოდ ხელისუფლებამ, არამედ, ერთიანად საზოგადოებამ... საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული მიდგომა ამ საკითხის მიმართ.**

რა ეწოდება, რა ჰქვია იმ მდგომარეობას, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით?

უნდა ვაღიარო, რომ არც ხელისუფლება და არც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ მდგომარეობას ფართო გაგებით ომს არ უწოდებს.

ანუ საზოგადოებამ კარგად არ იცის, რას ნიშნავს ჰიბრიდული ომი... ხოლო ხელისუფლება ვერც და არც ამტკიცებს, რომ რუსეთთან ომი არ შეწყვეტილა და ახლა, უბრალოდ, მისი პასიური ფაზაა... არ ისმის სროლის ხმა, მაგრამ, გრძელდება:

**ეკონომიკური შემოტევები;**
**ფსიქოლოგიური ზეწოლა;**
**საინფორმაციო ომი;**
**კიბერთავდასხმები;**
**ჰიბრიდული ომის სხვა ელემენტები.**

ხელისუფლებას ამის აღიარებისა ეშინია უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური ურთიერთობის გაფუჭების გამო. საქართველო არ არის ძლიერი ქვეყანა ეკონომიკური თვალსაზრისით და ძალიან აშინებს პირდაპირი თუ ირიბი ინვესტიციების დაკარგვა ოკუპანტი სახელმწიფოს... ვიმეორებ — ოკუპანტი სახელმწიფოს მხრიდანაც.

ამდენად, ხელისუფლება უფრთხის შეფასებებს — ომი, ბრძოლა, ოკუპაცია... მტერი... მაგრამ, ამასობაში, ანუ, ნახევრადსიმართლის თქმისა და სრული სიმართლისათვის თვალის არგასწორების პირობებში, ჩვენ, პირდაპირი მნიშვნელობით, გვერღვევა სახელმწიფოებრივი ორგანიზმი.

ეს არის რეალობა, რომელშიც ვიმყოფებით და, გამოსავალი, თითქოს არც ჩანს.

თუმცა...

თუმცა მანამ, სანამ გავბედავთ და ვიტყვით, რომ ომი გრძელდება სრულ დეოკუპაციამდე და გაგრძელდება მანამ, ვიდრე რუსეთი უარს არ იტყვის საქართველოს მოხელთებაზე, მონადირებაზე, ამ ქვეყანაში საკუთარი დერჟავისტული პოლიტიკის გატარებაზე, ჩვენი განვითარებისათვის ხელის შეშლაზე, ოკუპაციაზე და შესაძლოა სრულ დაპყრობაზეც... მოკლედ, ამ სიტყვების თქმამდე არსებობს ქმედებათა ჩამონათვალი, რომელიც განვითარების ამ ეტაპზეც კი ხელისუფლებასაც შედარებით გაუიოლებს საქმეს და საზოგადოებასაც.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს გარკვეული კანონმდებლობა, რომელიც რუსულ პროპაგანდაში ეჭვმიტანილ კომპანიებს დაავალდებულებს, გამჭვირვალე გახადონ საკუთარი შემოსავლები და გაასაჯაროონ შემოსავლების წყაროები, ანუ უნდა მივიღოთ „უცხო ქვეყნის აგენტის" რეგისტრაციის აქტი... ამის შედეგად, საქართველოში მოქმედი მინიმუმ ერთი მედიასაშუალება იქნება იძულებული, რომ თქვას — დიახ, მე მაფინანსებს კრემლი.

ეს არ ნიშნავს ამ მედიასაშუალების შეზღუდვას — მაგრამ ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებას ეცოდინება, ყველაფერი, რასაც ეს მედიასაშუალება გადმოსცემს, (წერს) მოსკოვთანაა შეთანხმებული.

ხაზგასმით ვამბობ — ყველაფერი — რადგან რუსეთის სპეცსამსახურების სტრატეგიაა — გადმოსცენ მათ შორის სიმართლეც... ბევრი სიმართლე... სიმართლე ხშირად... მაგრამ, როდესაც ამ სიმართლეებს ყური მიეჩვევა, ანუ ჩაითვლება, რომ მედიასაშუალება ყოველთვის ამბობს სიმართლეს, სწორედ მაშინ გადმოსცენ ტყუილი და დეზინფორმაცია.

რათა მერე ვთქვათ — ეს ის კომპანია, არაა ყოველთვის სიმართლეს რომ გადმოსცემდა? შესაბამისად, ახლაც ასეა... ეს ტყუილიც სიმართლე უნდა იყოს.

და მეორე — საზოგადოებამაც უნდა გაიგოს:

ქსენოფობიისა და ჰომოფობიის, სიძულვილისა და სხვათა მიუღებლობის, დასავლეთის დემონიზაციის, რუსეთის სიყვარულის დანერგვის და სხვა მსგავსი ინფორმაციები თუ ანალიზი იყო, არის და იქნება რუსეთის ჰიბრიდული ომის ნაწილი.

საზოგადოებამაც უნდა გაიგოს, რომ არათუ აგვისტოს დღეებში, არამედ ჩვეულებრივ დღეებშიც ტეხავს... ძალიან ტეხავს... უსაშველოდ ტეხავს... შვილებთან, შვილიშვილებთან... შვილთაშვილებთან... და კიდევ მათ ჯერ არდაბადებულ შვილებთან ტეხავს... ასევე წინაპრებთან ტეხავს... თანამედროვეებთან ტეხავს... რუსული მდარე და მით უფრო ბლატნოი და მით, უფრო „ს ჩევო ნაჩინაიეტსია როდინას" დაჭექება...

ხოლო მედიამ უნდა შეიგნოს — რომ მეათეხარისხოვანია იაფფასიანი რეიტინგი... და რომ ის საზოგადოების პარტნიორი უნდა იყოს და არა... პუტინის აზრების გამტარი.

**ირაკლი ტაბლიაშვილი**

# ცენტრალური ავტომაგისტრალიდან 300 მეტრში საოკუპაციო ძალებს ახალი გზა გაჰყავთ

**სოფელ ყარაფილას სიახლოვეს, ცენტრალური ავტომაგისტრალიდან რამდენიმე ასეულ მეტრში, მძიმე ტექნიკა მუშაობს, რომელსაც გზა გაჰყავს. ტექნიკა ყოველ დილით რუსეთის საოკუპაციო სამხედრო ბაზიდან გამოდის და ეგრეთ წოდებულ საზღვრის აღმნიშვნელ ბანერთან გრუნტის გზას აკეთებს. ამ სამუშაოების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა სამოქალაქო მოძრაობის „ძალა ერთობაშია" წევრებმა გაავრცელეს.**



63 დღეა, ეს მოძრაობა ადგილზე სამოქალაქო დაკვირვების რეჟიმშია და საოკუპაციო ძალების ქმედებებსა და გადაადგილებას აკვირდება. ნიკა თარაშვილი ამ მოძრაობის წევრია, მან გუშინ დილითაც დაინახა და დეტალურად მოინიშნა, რა ტექნიკა რა დროის განმავლობაში მუშაობდა საოკუპაციო გამყოფ ხაზთან.

სამოქალაქო მოძრაობის ლიდერი დავით ქაცარავა მიიჩნევს, რომ ცენტრალურ ავტომაგისტრალთან 300 მეტრში საგანგაშო ვითარებაა და საოკუპაციო რეჟიმი ხნულების ნაცვლად უკვე კაპიტალურ გრუნტის გზას აშენებს. მას ამის შესახებ რამდენიმე ვერსია აქვს. მისი აზრით, ეს რუსეთის შეიარაღებულ ძალებს პატრულირების გამარტივებისთვის სჭირდებათ ან ახალი საგუშაგოს მოწყობას უშუალოდ მაგისტრალის სიახლოვეს გეგმავენ. ქაცარავა როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე საერთაშორისო საზოგადოებას სიფხიზლისკენ მოუხმობს.

ზაფხულის დასაწყისში დე ფაქტო რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებმა „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის" სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ღიად დააფიქსირეს, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში ოსური და რუსული მხარეები ეგრეთ წოდებულ საზღვრის აღმნიშვნელ ბანერებთან ხანძარსაწინააღმდეგო ხნულების გავლებას დაიწყებდნენ. ეს ხნულები ყარაფილას სიახლოვეს მართლაც გაავლეს. საქართველოს ხელისუფლებამ ხნულების გავლება განგრძობითი ოკუპაციის ახალ ფორმად შეაფასა. სექტემბრის ბოლოს კი ვითარება კვლავ იცვლება და ხნულებთან ახლოს უკვე გზა გაჰყავთ. ქართული და ოსური მხარეები ოფიციალურ განმარტებას ჯერ არ ავრცელებენ. 3 ოქტომბერს ერგნეთში „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის" სამუშაო ჯგუფის შეკრებაზე მხარეების წარმომადგენლები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს და ყარაფილას სიახლოვეს გზის მშენებლობასთან დაკავშირებით უფრო მეტი გახდება ცნობილი. მანამდე კი სამოქალაქო მოძრაობა „ძალა ერთობაშია" ხელისუფლებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს სწრაფი რეაგირებისკენ მოუწოდებს.



Goga APTSIAURI (RFE/RL)

**გოგა აფციაური**

## საბერძნეთში ყველა მედიასაშუალების წარმომადგენელი 24 საათით გაიფიცა

**გაფიცვის ორგანიზატორი ქვეყნის პროფკავშირებია. 24 საათის განმავლობაში რადიოსა და ტელევიზიაში ახალი ამბების გამოშვება არ გავა, არ მუშაობს საინფორმაციო ვებგვერდებიც. გაფიცული მედიასაშუალების წარმომადგენლები დამატებითი სოციალური დაზღვევის სისტემის შენარჩუნებასა და მედიასაშუალებების თანამშრომლების შრომითი და სოციალური უფლებების დარღვევის შეწყვეტას ითხოვენ. პროფკავშირებში ამბობენ, რომ მთავრობასთან და დამსაქმებლებთან ერთწლიანი მოლაპარაკებების შედეგად ვერ მოხერხდა იმ ფონდის გადარჩენა, რომლის საშუალებითაც ჟურნალისტები დამატებით პენსიებს, სამედიცინო მომსახურებას და ერთჯერად ფინანსურ დახმარებას იღებდნენ.**

## ოფისის სახურავზე ფერმა გააშენეს



**პარიზის შუაგულში საფოსტო ოფისის სახურავი ნამდვილ ურბანულ ფერმად იქცა. სამსახურის ნებისმიერ წარმომადგენელს ახლად მოწყობილ ბაღში მცენარეების მოვლა და წიწილების გამოკვებაც კი შეუძლია. 30-მდე მოხალისემ სახურავზე პომიდვრის ჩითილები და ხეხილი დარგო. ინიციატორთა თქმით, ახალი პროექტი თანამშრომლებს დაძაბულ გარემოში ბუნებაში დასვენებისა და განტვირთვის შესაძლებლობას მისცემს.**

## დრონის ტაქსების სერვისი დუბაიში

**დრონის ტაქსების სერვისი პირველად დუბაიში ამოქმედდება. ამბიციური გეგმის შესახებ არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ინოვაციური პროდუქტის პრეზენტაციისას განაცხადეს. მფრინავი ტაქსი დრონების გერმანულმა მწარმოებელმა „ვოლოკოპტერმა" შექმნა. ის კომფორტული, ორადგილიანი კაბინაა, რომელიც 18 პროპელერითაა აღჭურვილი. სატესტო ფრენა წარმატებით შესრულდა.**

ჯანმრთელობა

# ცალ ნესტოში ერთი წვეთები, მეორეში – სხვა წამალი

**ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ მედიცინაში ადამიანების (ცხადია, პირობითად) „არისტოკრატებად“ და „მდაბიოებად“ დაყოფა არსებობს, რის გამოც ზოგ შემთხვევაში (მაგალითად, ზედა სასუნთქი გზების დაავადებათა დროს) მათ განსხვავებული მკურნალობა სჭირდებათ.**



შესუნთქული ჰაერი ცხვირში გავლისას უნდა ტენიანდებოდეს და თბებოდეს, მაგრამ თუკი ეს ასე არ ხდება, მაშინ ის აშრობს და აცივებს ყელის ლორწოვან გარსებსა და სასუნთქ გზებს, რაც გაციების სნეულებათა განვითარებას უწყობს ხელს. ამიტომაც, ამის თავიდან ასარიდებლად, ექიმები ცხვირით სუნთქვას გვირჩევენ. თუმცა მარტო ამის გაკეთება არ კმარა – დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე იმასაც, თუ როგორ გადის ჰაერი ცხვირში, როგორია მისი აეროდინამიკა. ორი წლის ასაკამდე ყველა ბავშვს ცხვირის ერთნაირი აეროდინამიკა აქვს: ჰაერს ბავშვი მხოლოდ ცხვირით ისუნთქავს, რა დროსაც პირი მომუწული აქვს. ამ დროს ჰაერი ცხვირის ღრუს კი არა, არამედ დანართ წიაღებსაც (სინუსებს) გადის. ბავშვებს სინუსები უფრო დიდი აქვთ – ბუნებამ ისინი ასეთებად იმიტომ შექმნა, რომ მათში გავლისას ჰაერი თბება და ტენიანდება, რაც ბავშვს გაციებისგან იცავს. ორი წლიდან კი ეგრეთ წოდებული ცხვირის ქვედა გზა იხსნება და თუკი ის დიდია, ჰაერი, რომელსაც წინააღმდეგობა არ ხვდება, გათბობასა და დატენიანებას ვეღარ ასწრებს. ესაა ეგრეთ წოდებული „ცხვირის სამხრეთული ტიპი“, ხოლო მისი პატრონები გაციებისადმი მიდრეკილი არიან. მაგრამ თუკი ეს გზა ვიწროა, ჰაერი ზევით მიემართება, სადაც ვიწრო გასასვლელებია (სათავეები), რომლებიც ცხვირის ღრუსა და უპეებს აერთებენ. მათში გავლისას ჰაერი ცელსიუსის 25 გრადუსამდე თბება და 100-პროცენტიანად ტენიანდება. ასე მუშაობს „ცხვირის ჩრდილოური ტიპი“, მისი მფლობელები კი ძალზე იშვიათად ცივდებიან.

რისი გაკეთებაა საჭირო საიმისოდ, რომ ცხვირი სწორად სუნთქავდეს და ამ პროცესში წიაღებიც მონაწილეობდნენ? საამისოდ ძილის შემდეგ ცხვირით გაძლიერებული სუნთქვაა საჭირო, რასაც ყველაზე უკეთ დილის ვარჯიში უზრუნველყოფს.

**თუკი გათბობის გამო ოთახში ჰაერი ზედმეტად შრება, სასარგებლოა ცხვირში ზეითუნის, მზესუმზირის, ან რომელიმე სხვა საკვები მცენარეული ზეთის ჩაწვეთება, რომელიც ყველა მსურველმა საკუთარი შეგრძნებისდა მიხედვით შეიძლება შეარჩიოს.**

იმ შემთხვევაში, თუ გაციებული ხართ და ცხვირით ვერ სუნთქავთ, ძალიან მნიშვნელოვანია მისი ძალით გაწმენდა-განიავება. ეს წიაღების ვიწრო ხვრელებს ხსნის და იქიდან ჰაერი შიგნით აღწევს, ხოლო **სისხლძარღვების შემავიწროებელი წვეთებისა და სპრეების გამოყენება ამ დროს, რაც ბოლო ხანებში დიდად პოპულარული გახდა, ნამდვილად არ ღირს.** საქმე ისაა, რომ ცხვირის ღრუში მიმდინარე ანთებითი პროცესი – ესაა ორგანიზმის დაცვითი რეაქცია, რომელიც რამდენიმე სტადიად მიმდინარეობს და ბოლოს სრული გამოჯანმრთელებით სრულდება. ეს პრეპარატები კი ამ პროცესს არღვევენ, მას დასრულებას არ აცლიან და როგორც წესი, ხელს უწყობენ მის ქრონიკულად გადაქცევას.

მკურნალობისას ორი სახეობის პრეპარატებს – ვერცხლის შემცველს (კოლარგოლი და სხვები) და დიმედროლიან ანტიჰისტამინურ წვეთებს იყენებენ. თანაც, არიან პაციენტები, რომლებსაც მხოლოდ პირველი ჯგუფის პრეპარატები შველით (მათ „ვერცხლის“, ანუ „არისტოკრატ“ ავადმყოფებს უწოდებენ) და „მდაბიოთა“ უმცირესობა. ცნობილი ოტოლარინგოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **იური ულიანოვი** ამასთან დაკავშირებით ამბობს, რომ არაერთხელ „სასწაულის“ მოწმე გამხდარა, როცა ქრონიკული დაავადებით შეპყრობილი ბავშვები სასოწარკვეთილ დედებს საყდარში მიჰყავდათ, პირმშოებს ნაკურთხ წყალს ასმევდნენ და ისინი... იკურნებოდნენ! ამ საკითხის შესწავლის შემდეგ კი გაირკვა, რომ **ტყუილად როდი იყო, რომ არისტოკრატები ვერცხლის ჭურჭლიდან ჭამდნენ და სვამდნენ, მისგან დამზადებულ სამკაულებს ატარებდნენ, ზოგ ადამიანს ვერცხლის იონები სხვებზე მეტად სჭირდება იმუნიტეტის გასაძლიერებლად და ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად.** სხვა პაციენტებს კი გაციების ანტიჰისტამინების შემცველი წვეთები შველის. იმის გასარკვევად კი, თუ რომელი ჯგუფის წამლები შველის კონკრეტულად ამა თუ იმ პაციენტს, გამოცდილი ექიმები ცალ ნესტოში ვერცხლის, მეორეში კი ჰისტამინიან წამალს აწვეთებენ: რომელი წამალი უფრო სწრაფად იმოქმედებს, მალევე გამოჩნდება ხოლმე – ლორწო შრება და ცხვირი სუნთქვას იწყებს.

საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში, საქმე მემკვიდრეობითობაში არ არის – ერთ ოჯახში შეიძლება იყვნენ „არისტოკრატებიც“ და ვერცხლისადმი არამგრძნობიარე „მდაბიოებიც“.

**მოამზადა**
**ნინო ალექსანდრიამ**

გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა

# მკვდარი ხორცის... გამცოცხლებელი

**გასული საუკუნის 80-90-იან წლებში საბჭოთა კავშირში დიდად პოპულარული ექსტრასენსი ანატოლი კაშპიროვსკი, რომელიც სატელევიზიო გამოსვლებისას ცისფერ ეკრანებთან მილიონობით მაყურებელს იზიდავდა, ბევრს დიდი ხნის „დაკარგული“ ეგონა, თუმცა კი ახლახან ცნობილი გახდა, რომ 78 წლის „სასწაულმოქმედი“ კვლავაც ატარებს გამაჯანსაღებელ სეანსებს როგორც რუსეთში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.**



ახლა ამ სეანსებს „შემოქმედებითი საღამოები“ ან „კონფერენციები“ ეწოდება. ექსტრასენსს რუსული პასპორტი და უკრაინაში ცხოვრების უფლება აქვს, გასტროლებით მსოფლიოს გარშემო უვლის, ტელეეკრანებიდან თავის გაქრობას კი იქ „ჟანგბადის გადაკეტვით“ ხსნის.

ცოტა ხნის წინათ კაშპიროვსკიმ თავისი გამოსვლები მყვირალა აფიშებით დააანონსა – **„მე მოვედი მკვდრების გასაცოცხლებლად“,** მერე ამავე სახელწოდებით წიგნი გამოუშვა:

– ეს ჩემი ძველი აფორიზმია, რომელიც მუშაობის მთავარ მიმართულებას უსვამს ხაზს – ესაა ადამიანის ანატომიის მომაკვდავი ნაწილის, ანდა უკვე მკვდარი ხორცის გაცოცხლება, – აცხადებს კაშპიროვსკი. – ესენია, მაგალითად, მკვდარი კბილები, თმები, ასევე გულის, საყლაპავის, ღვიძლის, თირკმლების, ძუძუს ჯირკვლისა თუ სხვა ორგანოთა მკვდარი ქსოვილები.

მკვდარი ნაწილების გაცოცხლება ერთი ცოცხალი ორგანიზმის ფარგლებში ხდება, რომელსაც სხვადასხვა დარღვევათა გამო დაღუპვა ემუქრებოდა. სწორედ აქედან მომდინარეობს ასე, თვალის ერთი გადავლებით, პოეტური სახელწოდება, რომელსაც რელიგიურ მკვდრეთით აღდგომასთან საერთო არაფერი აქვს.

წლეულს, ზაფხულში, კაშპიროვსკიმ აქცია ჩაატარა, რომელსაც ასეთივე მყვირალა სლოგანი – „ცხვირის დისტანციური მსოფლიო კორექცია“ – დაურთო. ის იმ ხალხზე იყო გათვლილი, ვისაც წლების მანძილზე პრობლემები აქვს სუნთქვასა და ხვრინვასთან. კაშპიროვსკის განცხადებით, მისი არსი არა მარტო ცხვირის მყისიერ გასწორებაში, არამედ ფსიქოთერაპევტთან ყოველგვარი აუდიო და ვიდეოკონტაქტის უქონლობაში მდგომარეობდა. სეანსის დროს მონაწილენი დედამიწის ნებისმიერ წერტილში შეიძლება ყოფილიყვნენ. პირობა მხოლოდ ერთი იყო: აქციის დროს საჭირო იყო სამი წუთით ყურადღების კონცენტრირება, შემდეგ კი 6 საათის განმავლობაში ცხვირზე ხელის მიუკარებლობა.

ახლო მომავალში კაშპიროვსკი სახისა და კისრის დაჭიმვის მსგავსი აქციის ჩატარებას გეგმავს. ასაკოვანი „გრძნეული“ ახლა 78 წლისაა და ჩინებულ ფიზიკურ ფორმაშია.

– ექვსი წლის წინათ ზურგზე მოგდებული 235 კილოგრამი სიმძიმით ჩაჯდომებს ვაკეთებდი, – ამბობს ტელეეკრანის ყოფილი ვარსკვლავი. – ამჟამად კი მუცლის პრესს დღეში ათასი აქაჩვით, ზოგჯერ მეტითაც ვავარჯიშებ. მოღვაწეობის მანძილზე სხვადასხვა სნეულებისგან 10 მილიონი კაცი განვკურნე – ეს გაზვიადება არ გეგონოთ, მათი რიცხოვნობა მე კი არა, დამოუკიდებელმა ექსპერტებმა დაადგინეს.

**ლალი ხუნდაძე**

# ქართველები ევროპას ძარცვავენ

**გერმანიასა და იტალიაში ქურდობის ბრალდებით საქართველოს 28 მოქალაქე დააკავეს.**

იტალიური მედიის ცნობით, ადგილობრივი პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად სამართალდამცველებმა ქალაქ რეჯიო-ემილიაში საცავი აღმოაჩინეს, საიდანაც მოპარული ნივთები საქართველოში იგზავნებოდა.

გამოძიების ინფორმაციით, 2015 წლიდან ქართველების დაჯგუფებამ იტალიის სხვადასხვა რეგიონში 85 სახლი და ოფისი გაქურდა.



# ესპანეთში ნარკოვაჭრობის ბრალდებით დაკავებულებს შორის ქართველებიც არიან

**პოლიციამ ბარსელონაში, მადრიდში, კასერესში და ლა კორუნიეში ჩატარებული სპეცოპერაციების შედეგად დააკავა ექვსი პირი, რომელთაც ინტერნეტით ნარკოტიკებითა და წამლებით უკანონო ვაჭრობაში ედებათ ბრალი. ესპანეთში დაკავებულ ნარკომოვაჭრეებს შორის ორი ქართველია.**

ამოღებულია დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალებები და მედიკამენტები: კოკაინი და ჰეროინი, ერექციის ფუნქციის დარღვევის სამკურნალო და გასახდომი პრეპარატები, ანტიდეპრესანტები და ა.შ.

დაკავებულების ბინებში აღმოჩენილია სხვადასხვა სახის იარაღი და ყალბი პასპორტები.

კარატე

# არქანია ოქროს გაუშინაურდა



**ქართველმა კარატისტმა, მსოფლიოს ექსჩემპიონმა გოგიტა არქანიამ ორი კვირის წინათ გერმანულ ლაიფციგში მსოფლიო ლიგა მოიგო — ექვსი მეტოქე დაამარცხა. ჩვენებურმა მსგავს წარმატებას გასულ უქმეებზე სტამბოლში გამართულ A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირშიც მიაღწია. იქ საასპარეზოდ მსოფლიოს საუკეთესო კარატისტებმა მოიყარეს თავი. არც არის გასაკვირი — სპორტის ეს სახეობა ხომ 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია შეტანილი. ტოკიოში ქალ-ვაჟთა 3-3 წონით კატეგორიაში გათამაშდება მედლები. ოლიმპიადის საგზურებისთვის სალიცენზიო ქულები სწორედ ასეთ შეჯიბრებებში გროვდება. ამიტომაც იყო ხალხმრავლობა თურქულ ბატალიებში. გოგიტა არქანიამ (+84) მძიმეწონოსანთა ტურნირში ზედიზედ სძლია რუმინელ მარიან დიმიტრუსა (4:0) და ფრანგ ჰოსეინ დაიხს (7:0), მერე ჰოლანდიელ რობ ტიმერმანსთან ორთაბრძოლა ფრედ დაამთავრა (2:2), მაგრამ მსაჯების გადაწყვეტილებით, როგორც უფრო აქტიური, მომდევნო ეტაპზე არქანია გავიდა. იქ ირანელ მაჰდი აშური გარმჯანს აჯობა — 1:0, ნახევარფინალური პაექრობა ხორვატ ანჯელო კვესიჩთან კი უქულოდ დაასრულა. არბიტრებმა უპირატესობა ისევ ქართველს მიანიჭეს. გადამწყვეტ პაექრობაში გოგიტამ აშკარად დაჯაბნა სალენ აბაზარი (ირანი, 5:0) და ოქროს მედალი მოიპოვა. მესამე ადგილებზე ანჯელო კვესიჩი და დანიილ მოლნარი (უნგრეთი) გავიდნენ.**

მსოფლიო რეიტინგში გოგიტა არქანია ამჟამად 1925 ქულით მეორე ადგილზეა. მას ირანელი საჯად განჯზადენი (2225 ქულა) უსწრებს, ხოლო 1500 ქულით მესამეა ტიტულოვანი გერმანელი ჯონათან ჰორნე.

60 კილოგრამი წონითი კატეგორიის ტურნირში დავით ტყებუჩავამ ორი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან — იური ბალაკინი (რუსეთი, 5:0) და საუდ ალბაშერი (საუდის არაბეთი, 3:2), მესამე წრეში კი კაისარ ალპისბეისთან (ყაზახეთი) წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა. მსოფლიო კლასიფიკაციაში დავით ტყებუჩავას 750 ქულით მე-13 ადგილი უკავია (აქ 2700 ქულით უზბეკი სადრიდინ საიმატოვი მეწინავეობს),

**ლექსო ცინცაძე**

კრივი

# ალბენამ სამი მედალი გაიმეტა

**ცხრა ქართველი სპორტსმენი (მთავარი მწვრთნელი ბექა ლობჟანიძე, მწვრთნელი ნიკოლოზ იზორია) მონაწილეობდა ბულგარულ ალბენაში გამართულ ახალგაზრდა მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატში. უკვე ვწერდით, რომ გორელი მამუკა აბულაძე ნახევარფინალში ბორის კარიბიანთან (რუსეთი) დამარცხდა და მესამე ადგილს დასჯერდა.** აი, ფინალში კი ორმა ჩვენებურმა იასპარეზა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ოქროს ვერ შესწვდნენ: 46 კილოში რუსთაველმა ლუკა კუბლაშვილმა ბულგარელ ერგიუნალ სებანტინისთან წააგო, ხოლო 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში ხობელ ბაკურ ჩიქოვანს უსმან მაგამადოვმა (რუსეთი) აჯობა. ამ შედეგით საქართველოს ნაკრებმა უკან მოიტოვა ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ინგლისი, გერმანია, იტალია, თურქეთი, უნგრეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვები. ისე, არბიტრებს მეტი ობიექტურობა რომ გამოეჩინათ, შეიძლებოდა, უკეთესი ხარისხის მედლებიც გვქონოდა.

**თამაზ პატარიძე**




ნიკოლოზ იზორია, მამუკა აბულაძე, ლუკა კუბლაშვილი, ბაკურ ჩიქოვანი და ბექა ლობჟანიძე

ჭადრაკი

# მშვიდობიანი ფინალისტები

**შეგახსენებთ, რომ მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს თასის გათამაშებაში (საპრიზო ფონდი მილიონ 600.000 დოლარი) ყველა კონტინენტის 128 წარმომადგენელი ჩაება. ექვსრაუნდიანი მინი-მატჩების შემდეგ ასპარეზობას ორნი შემორჩნენ — 24 წლის დინ ლიჟენი (ჩინეთი) და 34 წლის ლევონ არონიანი (სომხეთი), რომლებმაც პრეტენდენტთა ტურნირში (გაისად მარტში) თამაშის უფლება მოიპოვეს.**



ფინალისტთა პაექრობა ოთხი კლასიკური პარტიისგან შედგება. სასტუმრო „ბილტმორში“ გამართული ორი ორთაბრძოლის ანგარიში უკვე გაუწყეთ — ისინი ყაიმით დამთავრდა. დიდი სიმძაფრით არც მესამე პარტია გამოირჩეოდა და მეტოქეები 31-ე სვლაზე დაზავდნენ — 1,5:1,5. მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში გამარჯვებულს ტაი-ბრეიკი გამოავლენს.

**გივი გაგუა**

კალათბურთი

# კარმელო ოკლაჰომელია

**„ნიუ იორკ ნიქსმა“ და „ოკლაჰომა სითი თანდერმა“ კალათბურთელები გაცვალეს. ნიუ იორკელებმა „ოკლაჰომაში“ კარმელო ენტონი გაუშვეს, მის სანაცვლოდ კი თურქი ცენტრი ენეს კანტერი, დუგ მაკდერმოტი და 2018 წლის დრაფტის პიკი მიიღეს.**

ამ გაცვლის შემდეგ „ოკლაჰომას“ საჩემპიონო ამბიცია გაუჩნდა, რადგან გუნდში სამი ვარსკვლავი ჰყავს: კარმელო ენტონი, რასელ უესტბრუკი და პოლ ჯორჯი.




ნბა-ში 15-წლიანი თამაშის შემდეგ კარმელოს საშუალო მონაგარი ასე გამოიყურება — 24.8 ქულა, 6.6 მოხსნა, 3.1 პასი და 1.1 ჩაჭრა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩოგბურთი

# ექვსი საფეხურით დაწინაურდა




**გასულ კვირას საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა მეცის საერთაშორისო ტურნირში სამ ძლიერ მეტოქეს აჯობა და იქ აღებული ქულებით მსოფლიო კლასიფიკაციაში ექვსი საფეხურით დაწინაურდა. განახლებულ რეიტინგში მას 59-ე ადგილი უკავია და საკუთარი რეკორდისგან რვა საფეხური აშორებს.**

წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციების განახლებულ რეიტინგებში ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია:

**ქალები**

**ერთეულები.** 294 (244). სოფიო შაფათავა (167), 357 (361). ეკატერინე გორგოძე (113), 523 (546). მარიამ ბოლქვაძე (53).

**წყვილები.** 78 (78). ოქსანა კალაშნიკოვა (985), 228 (245). სოფიო შაფათავა (297), 326 (327). ეკატერინე გორგოძე (175), 569 (572). მარიამ ბოლქვაძე (67), 735. თათია მიქაძე (34), 998 (987). სალომე დევიძე (16).

**ვაჟები**

**ერთეულები.** 59 (64). ნიკოლოზ ბასილაშვილი (852), 956 (962). გიორგი ცივაძე (13), 1286 (1289). ალექსანდრე ბაქში (4), 1666 (1677). ირაკლი მეტრეველი (1), 1951 (1963). ვაჟა შუბლაძე (1).

სოფიო შაფათავა ამჟამად საფრანგეთში იმყოფება და იქაურ 25.000-იან ტურნირში იასპარეზებს, სადაც ერთეულებში მე-6 ნომრადაა განთესილი, ხოლო წყვილებში, ბრიტანელ ემილი სმიტთან შეამხანაგებულს, განთესვით მეოთხე ნომერი აქვს.

უკვე ჩაება ბრძოლაში საქართველოს ვაჟთა ნაკრების წევრი გიორგი ცივაძე — იგი ჩიმკენტის (ყაზახეთი) 25.000-იან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. საკვალიფიკაციო ეტაპის სტარტზე მან უზბეკ სარდორ პულატოვს სძლია ორ სეტში — 6:4, 6:0, შემდეგ მასპინძელი სულთან ნარბეკოვი დაამარცხა — 7:5, 6:3 და ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა.

**ლაშა დიდია**

ინტერნეტიდან

# შვილმრავალ ვარსკვლავთა დარდები

**როდესაც მსოფლიოში ცნობილი ფეხბურთელი ხარ, რა გასაკვირია, რომ მთელი ქალთა დუნია უკან დაგდევს და არაერთი ასული ცდილობს შენს სარეცელში შემოძვრომას. ეს ერთის მხრივ საამო ამბავია, მაგრამ ამას მერე თან ყოველთვის სადავო შვილების გაჩენა, ალიმენტების ხდა და ათასი სკანდალები სდევს.**

მაგალითად, რატომ ათი ქალი მაინც არ იძახის, კრიშტიანუ რონალდუსთან თანაყოფით შვილი გამიჩნდა და ოხერ-ტიალმა პორტუგალიელმა ჩემი ბალანე შვილად აღიაროსო.

უარეს დღეში იყო მარადონა, რომელსაც არგენტინიდან ესპანეთამდე და ესპანეთიდან იტალიამდე უამრავი ქალი აბრალებდა შვილის მამობას, მაგრამ ამ საქმეში ჭეშმარიტი ჩემპიონი ბაბუა ედსონი, ანუ ედსონ არანტეს დო ნასიმენტო — იგივე პელეა.

სხვადასხვა წყაროებით, პელეს შვილების დედობაზე თავს ოცამდე ქალი დებს და მიუხედავად იმისა, რომ პელემ დეენემის ანალიზითაც დაადასტურა თავისი სიმართლე, ხუთი შვილის ხუთი დედა მაინც ხახვივით შერჩა და პელეს ასაკის მიუხედავად სხვა ქალებიც არ დამცხრალან. მსოფლიო ვარსკვლავობა იცოცხლეთ კარგი რამაა, მაგრამ იგივე პელეს რომ შეხედო კაცმა, შეიძლება ასეთ ცნობადობაზეც კი აგიცრუვდეს გული...

**როსტომ რაჭველიშვილი**



დღესასწაული

# ჯვართამაღლება

**27 სექტემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს და თაყვანს სცემს მსოფლიო ამაღლებას პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა.**

ცნობილია, რომ კეთილმსახურმა დედოფალმა ელენემ, კონსტანტინე დიდის დედამ, გადაწყვიტა იმ ჯვრის მოძებნა, რომელზეც იესო ქრისტე გააკრეს და საგანგებოდ გაემგზავრა იერუსალიმში, მას უთხრეს, რომ ეს ჯვარი ჩაფლულია მიწაში და ზედ წარმართთა ტაძარია აშენებული.

აღსანიშნავია, რომ ელენე დედოფლის ბრძანებით ტაძარი დაშალეს, გათხარეს და ნახეს სამი ჯვარი და პატარა ფიცარი, რომელზეც ეწერა: **„იესო ნაზარეველი, მეუფე ურიათა“.**

...იმის გასაგებად, თუ რომელი მათგანი იყო ცხოველმყოფელი ჯვარი, სამივე ჯვარი რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს, ორი ჯვრით სასწაული არ მოხდა, მესამე ჯვრის შეხებით კი მიცვალებული აღდგა! ასე ამოიტანეს უფლის ჯვარი... და, აამაღლეს იგი!

ჯვართამაღლებისას უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. ყველა იქ მყოფთ სურდა ჯვრის ხილვა — ცხოველმყოფელი ჯვრის დანახვისას ადამიანები თაყვანს სცემდნენ სიწმინდეს შემდეგი სიტყვებით: „უფალო შეგვიწყალენ!“

წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: **„ჯვარი არის ჯოჯოხეთიდან ჩვენი გამოხსნის, სიკვდილზე გამარჯვების სიმბოლო, ჩვენი გადარჩენის იარაღი“.**



ჯვართამაღლების დღესასწაული მარხვით აღინიშნება. ამ დღეს ტაძრებში ჯვარი საზეიმოდ გამოაქვთ და თაყვანს სცემენ მას.

გიული ლიპარტია

# გიორგი გახარია პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ფერმერი გახდება

**ფერმერთა ასოციაციამ (GFA), ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოს ფერმერთა სათათბირო ოფიციალურად დააფუძნა. სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ ასოციაციის სათათბიროს დაფუძნებისა და სათათბიროს შემადგენლობის პრეზენტაციას ასევე დაესწრნენ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმღვანელი იანოშ ჰერმანი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის, შვეიცარიის განვითარების სააგენტოსა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.**



საქართველოს ფერმერთა ასოციაცია 2012 წელს ფერმერ ნინო ზამბახიძის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით დაფუძნდა, ის ამჟამად 2000-მდე ფერმერს აერთიანებს. ასოციაციამ მოკლე დროში შეძლო სახელმწიფოსა და ფერმერთა შორის მაკოორდინირებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბება. ღონისძიების მიმდინარეობისას აქცენტი გაკეთდა საქართველოს ფერმერთა სათათბიროს მიზნებსა და პრიორიტეტებზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ფერმერთა ასოციაციას დაარსების 5 წლის იუბილე მიულოცა. მისი შეფასებით, ასოციაცია დღესდღეობით საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და წარმატებული პროფესიული გაერთიანებაა, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესში.

**„მე დღეს, ალბათ, ძალიან დიდი გადაწყვეტილება მივიღე, თუ რას გავაკეთებ ამ სამსახურიდან წასვლის შემდეგ — ერთმნიშვნელოვნად გავხდები ფერმერი და მინდა, იცოდეთ ერთი რამ, რომ ყველაფერი, რასაც თქვენ დღეს აკეთებთ, არის სამაგალითო. ეს არის საზოგადოების ორგანიზების მოდელი და იმის მოდელი, თუ როგორ უნდა აიღოს ცალკეულმა ადამიანმა თავის თავზე პასუხისმგებლობა — სახელმწიფოს კი არ უნდა უყუროს და მისგან რაღაცას ელოდოს, არამედ თავად აიღოს პასუხისმგებლობა. თქვენ ამ მაგალითს აძლევთ ყველას — ადამიანებს, სხვადასხვა დარგობრივ გაერთიანებას და ეს არის ყველაზე მთავარი“,** — აღნიშნა გიორგი გახარიამ.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, ყველა წამოწყებას და ინიციატივას გარკვეული ფინანსური სტაბილურობა სჭირდება, **„ჩვენ, როგორც მთავრობას, შეგვიძლია, უბრალოდ შევქმნათ გარკვეული ინფრასტრუქტურა, რომელიც საშუალებას მოგცემთ, იმოქმედოთ ისე, როგორც ახლა მოქმედებთ. ეს შეიძლება იყოს სპეციალური რეჟიმები, „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში და სოფლის მეურნეობის პროგრამების ფარგლებში თქვენი დახმარება, ეს შეიძლება იყოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმები, რომ უფრო მარტივად გაიტანოთ ხარისხიანი პროდუქტი ექსპორტზე და ასე შემდეგ,“** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

# ფაროსანასთან ბრძოლას წლები დასჭირდება

სოფლის მეურნეობის მინისტრის თქმით, ფაროსანა სოფლის მეურნეობისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა და მასთან ბრძოლას წლები დასჭირდება:

**„ეს არის მავნებელი, რომელიც ბევრ კულტურას ანადგურებს. რაც შეეხება სიმინდის ნათესებს, მთლიანად არის დამუშავებული, დღესაც გრძელდება ეს სამუშაოები, თუმცა დასასრულს უახლოვდება, რადგან სიმინდის მოსავლის აღება უკვე დაწყებულია. სამეგრელოში საკმაოდ კარგი მოსავალი გვაქვს, ასევე გურიაში მიმდინარეობს მოსავლის აღება. ჩვენ წლები მოგვიწევს ამ მავნებელთან ბრძოლა, მაგრამ საბოლოოდ, ამ ბრძოლის ნაწილში ჩვენ გამოვალთ გამარჯვებულები.**

**ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გვაქვს ციტრუსოვანი კულტურები და იქაც გვაქვს თავი დასაცავი ამ მავნებლისგან. შესაბამისად, სამინისტრომ მთელი რიგი ღონისძიებები დაგეგმა წლის დასაწყისიდან იმ დრომდე, ვიდრე მავნებელი მიეცემა ძილს. მათ შორის, ხდება სპეციალური პრეპარატების დარიგება რეგიონებში. მნიშვნელოვანი კომპონენტია ფერმერებთან ცოდნის მიტანა“,** — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.



## სანთელი

**გარდაიცვალა ლეგენდარული ქართველი საოპერო მომღერალი, შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი, ღირსების ორდენოსანი, სახალხო არტისტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე, ქალბატონი**

**ცისანა ტატიშვილი**

**საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქალბატონი ცისანას გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს.**

**ფრიდონ ინჯია ოჯახთან ერთად ღრმა მწუხარებას გამოთქვამს**

**გია ინჯიას**

**უდროოდ გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მეუღლეს სოფიკოს, დედას ლალის, მამას დემურის და ძმას ლევანს ამ მძიმე უბედურების ჟამს.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს და ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს მის კეთილ სულს!**



**შპს „ახალი ქსელებისა“ და შპს „ახტელის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელ მდივანს ლევან ინჯიას გარდაეცვალა ძმა**

**გია ინჯია**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.**

**შპს „ფოპტნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ლევან ინჯიას ძმის**

**გიორგი (გია) ინჯიას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**ავთანდილ იაშვილი, კოტე სამუშია, თეიმურაზ ღოღობერიძე, ტარიელ იაშვილი, ნუგზარ კვიკვინია, ნუგზარ ბენდიაშვილი, ლევან კიკნაძე, თეიმურაზ ბერიშვილი, ვახტანგ თოდუა, თორნიკე აფაქიძე, ვახტანგ ამაშუკელი, გენო შეროზია, რემი გველესიანი, ზურაბ ზუმბაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ დემურ და ლალი ინჯიებს შვილის**

**გიორგი (გია) ინჯიას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ლევან ინჯიას ძმის**

**გიორგი (გია) ინჯიას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?

**შარტავას ქუჩაზე დაჭრილი მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თანამშრომელი ზურაბ ტაკიძე რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული და მართვის სუნთქვაზე იმყოფება.**

ახლობლები თვითმკვლელობის მცდელობის ვერსიას გამორიცხავენ. დეტალები, თუ რა მოხდა შარტავას 35 ნომერში, ამ დრომდე უცნობია.

ტაკიძე საკუთარი სახლის სადარბაზოს მეოთხე სართულზე დაჭრილი მეზობელმა იპოვა.

# უბედური შემთხვევა გარდაბანში

**გარდაბანში სიძემ სანადირო თოფიდან ნადირობის დროს, შემთხვევით გასროლის შედეგად ცოლისძმა მოკლა. შემთხვევა იარაღის წმენდის დროს მოხდა. დაღუპული 32 წლის მამაკაცია. მას ტყვია მუცლის არეში მოხვდა.**

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. პირი, რომელსაც იარაღი გაუვარდა, დაკავებულია.

# თავზე გულს შემოგავლებ, ედემს შესადრელაო...

## ეთეროს ღუღუნი ილიას ეზოში



საგურამო.

ილიას სახლ - მუზეუმი.

შეხვედრა ეთერ თათარაიძესთან.

არა საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე, არამედ მართლა ეზოში, მიწაზე, ხეების ჩრდილში...

სცენაზე შეგნებულად არ მიგიწვიეთ, რადგან შეხვედრას ოფიციალური იერი არ მისცემოდაო, — გვეტყვის სახლ-მუზეუმის დირექტორი **ანდრო ბედუკაძე**, რასაც ყველანი უყოყმანოდ დავეთანხმებით.

ვინ ყველანი? — პოეტის კოლეგები, მეგობრები, თაყვანისმცემლები, იტალიიდან მეუღლითურთ ჩამობრძანებული ცნობილი მთარგმნელი **ნუნუ გელაძე** და რაც ყველაზე გასახარია, წეროვნელი მოსწავლეები. სწორედ ისინი იყვნენ ამ საღამოს მთავარი მონაწილენი, უპირველესად, მათთვის გამონახა დრო, თანაც კვირა დღეს(!) შემოქმედებითი, სამეცნიერო თუ ყოფითი საზრუნავით დახუნძლულმა პოეტმა.

ილიას კარ - მიდამოში ოქროსფერი შემოდგომა შემოპარულიყო და ხეთა კენწეროებიდანაც მზე შემოდგომისა გვეთამაშებოდა.

ასეთ პოეტურ გარემოში უპასუხებდა პოეტი ყმაწვილთა შეკითხვებს და გვიკითხავდა თავის ღუღუნა ლექსებს — როგორც ისინი **მარიამ წიკლაურმა** მოიხსენია.

ღუღუნის მოსმენას რა სჯობს, მაგრამ ილიას ეზოში შეუძლებელია, პოეტს საქვეყნო სატკივარმაც არ შეახსენოს თავი, მით უფრო - ეთერ თათარაიძეს. ჰოდა, ერთ-ერთ კითხვაზე პასუხის გაცემისას, ისეთ საწუხარს შეეხო, რომ მისი საუბარი ღუღუნს ნამდვილად აღარ მოჰგავდა.

ვერც ემგვანებოდა, რადგან უცხოეთში საშოვარზე წასულ და გადაკარგულ ქართველ ქალებზე საუბრობდა, ქმრები და შვილები რომ გაუცხოებიან.

**მე ვიცი, —** თქვა პოეტმა, **- რატომ არიან წასულნი, მაგრამ არ ვიცი, რამდენი ხნით. ბავშვებს რომ ვეკითხები, დედა თუ გენატრებათო, ასეთ უცნაურ პასუხს მაძლევენ: რომ ჩამოვიდეს, ჩვენ რა გვეშველება?! მე ვადანაშაულებ იმ ქართველ დედებს, თბილისში უკვე მეხუთე ბინას რომ ყიდულობენ. რად უნდათ ეს ბინები, თუ ოჯახები აღარ ექნებათ?! ჩამოიარეთ სოფლები. მოხუცებიღა შემორჩენილან. უკვე მიცვალებულის დამარხვაც ჭირს.**

**ხალხი წასულია — ან თბილისში ან უცხოეთში. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?**

ესეც თქვა, ტელევიზორს აღარ ვუყურებო, რაც ადვილად ასახსნელი და გასაგებია.

მაგრამ ამის მოსმენამ ჩვენც ბუნებრივად გვათქმევინა: მთავარი ის კი არ არის, ეთერ თათარაიძე უყურებს თუ არა ტელევიზორს, მთავარი სულ სხვაა: **ეთერ თათარაიძე კვირაში ერთხელ მაინც უნდა გამოდიოდეს იმ არხზე, სადაც „ჩემი ცოლის დაქალები“ იგინებიან (თავი რომ ქვეყნის მთავარი არხი ჰგონია) და ესაუბრებოდეს მთელს საქართველოს.**

**სხვა არხებზეც უნდა გამოდიოდეს, „მთავარს“ მაინცდამაინც უხამსობაში რომ ეჯიბრებიან და ერთმა გაუსწრო კიდეც : „პირველმა“ — „მთავარს“...**

ჩვენი ქვეყნის ტკივილებს დღეს „ცოლის დაქალებითა“ და „ელიტარული დახმარებით“ კი ვერ უწამლებ, არამედ ერის ისეთი ჭირისუფლობით, რისი მაგალითიც იმ საღამოს ეთერ თათარაიძემ მოგვცა.

ეთერომ — ილიას ეზოში.

ვაი რომ, ამ ეზოში ნათქვამი დღეს მთელს საქართველოს არ ესმის.

არც ვინ ზრუნავს, რომ გააგონოს.

ჯერ „დაქალებისა“ და „ელიტარული დახმარების“ ტყვეობაში ვართ.

საინტერესოა, როდემდე დავრჩებით...

* * *

**„ხომ მოგვეწონა დაქსოვილი შენგნით ჩითები, ხომ მოგეფერა საქართველო, როგორც შეიძლო“,** — ასე მიმართა მურმან ლებანიძემ სრულიად ახალგაზრდა ეთერ თათარაიძეს.

ძალიან მინდა, საქართველომ უფრო მეტიც შეიძლოს, მაგრამ მთავარი აქაც სულ სხვაა: დიდ პოეტებს უფალი დროდადრო იმისთვის გვიგზავნის, სამშობლოს იქით რომ მოეფეროს.

აი, ეთერ თათარაიძე როგორ ეფერება:

**თავზე გულს შემოგავლებ,**
**ედემს შესადრელაო...**

უფალს კი ასე მიმართავს:

**გმადლობ, ჩემ ტკბილ უფალო...**

ჩვენ კი ეს უნდა ვთქვათ: გმადლობთ, ჩვენ ტკბილ უფალო, ანას შემდეგ, ეთერო რომ გვაჩუქე...



**იოსებ ჭუმბურიძე,**

ფოტო მარიამ წიკლაურისა

## ◎ გამოფენა

# სლოვაკ ბავშვთა ჩვენამდე მოღწეული გმინვა

**ბრატისლავა (სლოვაკეთი), პრაღა (ჩეხეთი), კემბრიჯი (ინგლისი), ნიუ-იორკი, ბლუმინგტონი (აშშ), ოტავა (კანადა), ბრიუსელი (ბელგია), რომი (იტალია) — ეს იმ ქალაქების და ქვეყნების არასრული ჩამონათვალია, სადაც სლოვაკი ფოტოხელოვანების გამოფენა „უკანასკნელი ფურცელი — იური დოიჩისა და კატია კრაუსოვას ფოტოგრაფიული მოგზაურობა“ იყო წარმოდგენილი.**

ეს გამოფენა გუშინ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა საქართველოში სლოვაკეთის საელჩოს ხელშეწყობით.

ფოტოხელოვანი იური დოიჩი და დოკუმენტური ფილმების გადამღები ჯგუფი აღმოსავლეთ სლოვაკეთის ერთ-ერთ მიტოვებულ სკოლაში შემთხვევით აღმოჩნდნენ, სადაც დრო, თითქოს შორეული, 1942 წელს გაჩერდა. ერთ ავბედით დღეს მისი ყველა მოსწავლე საკონცენტრაციო ბანაკში წაასხეს, შენობაში დღესდღეობითაც კი შემორჩენილია ბავშვების სახელმძღვანელოები, საშინაო დავალებების რვეულები, ნიშნების ფურცლები, კალმისტრები...

უაღრესად გულისამაჩუყებელი, შთამბეჭდავი გამოფენა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკის მუდმივი კოლექციის ნაწილია, ოქტომბრის მიწურულამდე გასტანს.

**ნინო ალექსანდრია**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო









## უახლოესი დღეების ამინდის პროგნოზი

**გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით 27 სექტემბრის საღამოდან საქართველოში ამინდი მკვეთრად შეიცვლება.**

27 სექტემბერს საღამოდან 29 სექტემბრამდე საქართველოს ტერიტორიაზე ცივი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელების გამო, მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი დაკლება, ელჭექი, წვიმა, ზოგან ძალიან ძლიერი, მაღალმთიან ზონაში ზოგან თოვლი, ზღვაზე 4-5-ბალიანი შტორმი.

ძლიერმა ნალექებმა შესაძლებელია, ცალკეულ მდინარეებზე წყალმოვარდნები გამოიწვიოს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4829; ევრო - 2.9497;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3497;
100 რუბლი - 4.3289; თურქული ლირა - 0.7051;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4635;
1000 სომხური დრამი - 5.2052.

### ამინდი 27 სექტემბრისთვის

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +12 | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +8, | დღე +23 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +17, | დღე +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +11, | დღე +25 |
| თბილისი: | ღამე +18, | დღე +20 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge